კვლევა

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები საქართველოში - არჩევნებზე დაკვირვების არსებული პრაქტიკა, გამოწვევები და ეფექტიანი მონიტორინგის მექანიზმები

თბილისი, 2022

ირმა პავლიაშვილი, მიხეილ კეჭაყმაძე

ევროპის საბჭოს პროექტი: „საარჩევნო პრაქტიკისა და პროცესების გამჭვირვალობის, ინკლუზიურობისა და სანდოობის მხარდაჭერა საქართველოში“

წინამდებარე კვლევაში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორ(ებს)ს და არ ასახავს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას.

სარჩევი

შესავალი 2

მეთოდოლოგია 3

კვლევაში ჩართული ორგანიზაციების შესახებ 3

ორგანიზაციების პროფილი და სადამკვირვებლო მისიის მანდატი 3

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA) 3

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) 4

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (TI GEORGIA) 5

საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო (PMMG) 6

აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (EECMD) 7

ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) 7

ქართული საკანონმდებლო ჩარჩო (რეგისტრაცია, დაკვირვება, საარჩევნო დავები და ა.შ.) დადებითი მხარეები და გამოწვევები 8

საერთაშორისო სტანდარტები და კარგი პრაქტიკა 13

საერთაშორისო ორგანიზაციების/დონორების მხარდაჭერა 15

საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობის პრაქტიკა 17

სადამკვირვებლო ორგანიზაციები და დაკვირვების მეთოდოლოგია 22

მიგნებები და რეკომენდაციები - ინტერვენცია გაძლიერებისა და ინსტიტუციური მდგრადობის მისაღწევად 40

შესავალი

წინამდებარე **კვლევის მიზანია** შეისწავლოს ადგილობრივი მიუკერძოებელი სადამკვირვებლო ორგანიზაციების ეკო-კლიმატი, სადამკვირვებლო მისიების ანატომია და პრაქტიკა, მათი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან და არსებული გამოწვევები. აგრეთვე, არჩევნებისთვის გაანალიზდეს ეფექტიანი მონიტორინგის მექანიზმები, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ხელშესახები გავლენა მოვახდინოთ საარჩევნო გარემოზე და ხელი შევუწყოთ არჩევნების ხარისხის გაუმჯობესებას საქართველოში.

კვლევა ევროპის საბჭოს ექსპერტების ირმა პავლიაშვილისა და მიხეილ კეჭაყმაძის მიერ ჩატარდა და მოიცავს **ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების:** საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (GYLA), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED), საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს (TI GEORGIA), საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს (PMMG), აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (EECMD) და ადამიანის უფლებათა ცენტრის (HRC) **სადამკვირვებლო საქმიანობის ანალიზსა და მის შეფასებას. აგრეთვე, ქართული საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩოსა და საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვას სადამკვირვებლო საქმიანობის ჭრილში**.

ორგანიზაციების შერჩევის კრიტერიუმები: კვლევისთვის შეირჩა სანდო სადამკვირვებლო ორგანიზაციების ორი ჯგუფი. პირველი ჯგუფი მოიცავს წამყვან, დიდი ხნის საარჩევნო გამოცდილების მქონე ორგანიზაციებს, რომლებიც დაფუძნებიდან დღემდე აკვირდებიან საარჩევნო პროცესებს საქართველოსა და საერთაშორისო მისიებში და ევროპის საბჭოსთან დიდი ხნის თანამშრომლობის გამოცდილება აქვთ, ხოლო მეორე ჯგუფი წარმოადგენს ორგანიზაციებს, რომლებსაც ზემოთ-აღნიშნულ ორგანიზაციებთან შედარებით არჩევნებზე დაკვირვების შედარებით მცირე გამოცდილება აქვთ, მაგრამ თავიანთი საქმიანობით უკვე დადებითი როლი შეაქვთ საარჩევნო/პოლიტიკური პროცესის გაუმჯობესების საქმეში.

მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის მიზნებიდან გამომდინარე თვისობრივი კვლევის ორი სახის მეთოდი - სამაგიდე კვლევა და სიღრმისეული ინტერვიუები შეირჩა.

მონაცემების და ინფორმაციის შეგროვებისა და პრაქტიკაში არსებული გამოწვევების ანალიზის მიზნით, მკვლევარებმა ჩაატარეს სიღრმისეული ინტერვიუები კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და საარჩევნო გუნდის წევრებთან, რისთვისაც შეიმუშავეს სტრუქტურირებული კითხვარი. თემატური კითხვები ძირითად 4 ბლოკად გადანაწილდა:

- ადილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონდებლო ჩარჩოს შეფასება (ადგილობრივი კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები);
- საერთაშორისო ორგანიზაციების ინსტიტუციური მხარდაჭერის შეფასება;
- საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობისა და კომუნიკაციის შეფასება;
- ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების თვითშეფასება, გამოწვევები და შესაძლებლობები.

სამაგიდე კვლევა მოიცავს საქართველოს შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს (საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და სხვა), საერთაშორისო კარგი პრაქტიკისა და სტანდარტების ანალიზს.

კვლევაში ჩართული ორგანიზაციების შესახებ

ორგანიზაციების პროფილი და სადამკვირვებლო მისიის მანდატი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)

ორგანიზაციის პროფილი: საქართველოს ახალგაზრდა ორგანიზაცია (შემდგომში - საია) 1994 წელს დაარსდა.[1] იგი წარმოადგენს იურისტთა გაერთიანებას. არის წევრობაზე დაფუძნებული და მისი მიზანია ყველასთვის სამართლიანი გარემოს ფორმირება დემოკრატიული მექანიზმების გაუმჯობესების გზით. მიზნის მისაღწევად, ორგანიზაცია მუშაობს ადამიანის უფლებების დაცვისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობისათვის.

ორგანიზაცია აერთიანებს 400-ზე მეტ წევრს და მისი უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა საერთო კრება, რომელიც წელიწადში ერთხელ ტარდება. საერთო კრება განსაზღვრავს ორგანიზაციის ძირითად სტრატეგიას და ირჩევს გამგეობის წევრებს. გამგეობა, თავის მხრივ,

[1] ორგანიზაციაზე დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://gyla.ge/ge

ირჩევს თავმჯდომარეს, ამტკიცებს პროგრამულ დირექტორებს. ასევე, ახდენს ორგანიზაციის სტრატეგიული მიმართულებებისა და ზოგადი საქმიანობის მეთვალყურეობას.

ორგანიზაცია საქმიანობას საქართველოს მასშტაბით ცენტრალური (თბილისში) და 8 რეგიონული (აჭარა - ბათუმი, იმერეთი - ქუთაისი (ფარავს სვანეთს და რაჭას), გურია - ოზურგეთი, შიდა ქართლი - გორი (ფარავს სამცხე - ჯავახეთს), ქვემო ქართლი - რუსთავი, მცხეთა - მთიანეთი - დუშეთი, კახეთი - თელავი) ოფისის საშუალებით ახორციელებს.

სადამკვირვებლო მისიის მანდატი: საია არჩევნებზე დაკვირვებას დაარსების დღიდან ახორციელებს და მრავალწლიანი გამოცდილება/ცოდნა აქვს. ორგანიზაციის სადამკვირველო მისია მოიცავს როგორც წინასაარჩევნო, ასევე კენჭისყრის დღესა და შემდგომ პერიოდზე დაკვირვებას და მისი მიზანია: სამართლიანი, თავისუფალი, კონკურენტული და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს დაცვის ხელშეწყობა, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დაცვა და მათი განმარტების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, ამომრჩეველთა უფლებების/საარჩევნო პროცედურების დაცვა საარჩევნო დავების წარმოების გზით.

მიზნის მისაღწევად, საია დაკვირვებას ახორციელებს სამივე დონის საარჩევნო კომისიაში (ცესკო/უსკო, ოლქი და საუბნო საარჩევნო კომისია) 600-700 საუბნო, საოლქო და ცესკო-ს გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებლების საშუალებით. პროცესში ჩართულები არიან ორგანიზაციის ანალიტიკოსები და იურისტები, რომლებიც როგორც ანალიტიკური თვალსაზრისით, ასევე სამართლებრივ დავებში ჩართულობით უზრუნველყოფენ პროცესის წარმართვას. ბოლო არჩევნების გამოწვევების შესაბამისად, ორგანიზაცია კენჭისყრის დღეს ასევე, აკვირდება საუბნო საარჩევნო კომისიების მიმდებარე ტერიტორიას.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)

ორგანიზაციის პროფილი: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) (შემდგომში - სამართლიანი არჩევნები) ერთ-ერთი ყველაზე ფართო რეგიონული ქსელის მქონე სადამკვირვებლო ორგანიზაციაა, რომელიც საარჩევნო პროცესებზე სამოქალაქო მონიტორინგის მიზნით 1995 წელს დაარსდა.[2]

ორგანიზაცია ოპერირებს 5 რეგიონული ოფისისა და 73 რაიონული წარმომადგენლის მეშვეობით. როგორც წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, სამართლიანი არჩევნები აერთიანებს 400-მდე წევრს და მისი უმაღლესი მმართველობითი ორგანოა საერთო კრება, რომელიც წელიწადში ერთხელ ტარდება. საერთო კრება 9 წევრისგან შემდგარ გამგეობას ირჩევს. გამგეობის თითოეული წევრი 3 წლის ვადით აირჩევა. ყოველწლიურად საერთო კრებაზე გამგეობის შემადგენლობის 1/3-ის განახლება ხდება. გამგეობა, თავის მხრივ,

[2] ორგანიზაციაზე დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://www.isfed.ge/

აღმასრულებელ დირექტორს ნიშნავს და ორგანიზაციის სტრატეგიული მიმართულებებისა და ზოგადი საქმიანობის მეთვალყურეობას ახდენს.

სადამკვირვებლო მისიის მანდატი: სამართლიანი არჩევნები არჩევნებზე დაკვირვებას დაარსების დღიდან ახორციელებს. ორგანიზაციის სადამკვირველო მისია მოიცავს როგორც წინასაარჩევნო, ასევე კენჭისყრის დღესა და შემდგომ პერიოდზე დაკვირვებას და მისი მიზანია: სამართლიანი და თავისუფალი საარჩევნო გარემოს დაცვის ხელშეწყობა, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დაცვა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, პარალელური ხმის დათვლისა (PVT) და ინციდენტების მონიტორინგის გზით. ორგანიზაცია, აგრეთვე, ახორციელებს სოციალური ქსელების მონიტორინგს.

სამართლიანი არჩევნები დაკვირვებას სამივე დონის საარჩევნო ადმინისტრაციაში ახორციელებს ორგანიზაციის 1000 დამკვირვებლის საშუალებით. დაკვირვების მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, კენჭისყრის დღეს უბნების გამოვლენა შემთხვევითობის პრინციპით ხდება. ორგანიზაციაში განთავსებულია ინციდენტების ცენტრი, რომელიც კონსულტაციებს უწევს დამკვირვებლებს საარჩევნო დავების წარმოების მიზნით.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (TI GEORGIA)

ორგანიზაციის პროფილი: „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“[3] (შემდგომში - ორგანიზაცია) 2000 წელს დაფუძნდა, როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია. მისი მიზანია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობით საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ არის საერთაშორისო გამჭვირვალობის ეროვნული ბიურო. თავის მხრივ, საერთაშორისო გამჭვირვალობა წარმოადგენს ერთადერთ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც იბრძვის მსოფლიოში კორუფციის წინააღმდეგ. ის ერთ გლობალურ კოალიციაში უყრის თავს სამოქალაქო საზოგადოებას, ბიზნესსა და მთავრობებს. საერთაშორისო გამჭვირვალობა საკუთარი საერთაშორისო სამდივნოს და 90–ზე მეტი დამოუკიდებელი ეროვნული ბიუროების მეშვეობით მოღვაწეობს ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

ორგანიზაციის მიზანია სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის ხელშეწყობა და გაძლიერება, სამართლის უზენაესობისა და კარგი მმართველობის განვითარება, სახელმწიფო ორგანოების გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე მათი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა, სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ხელშეწყობა (ამ მიზნებით არჩევნებზე დაკვირვების განხორციელება), ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების და თავისუფლებების დაცვა, საქველმოქმედო საქმიანობის

[3] ორგანიზაციაზე დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://www.transparency.ge/ge

განხორციელება. მისი უმაღლესი მმართველი ორგანოა გამგეობა, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების ზოგად სტრატეგიასა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, აგრეთვე ზედამხედველობას უწევს აღმასრულებელი დირექტორის საქმიანობას. გამგეობა ადგენს აღმასრულებელი დირექტორის სამუშაოს აღწერილობას.

სადამკვირვებლო მისიის მანდატი: ორგანიზაციის სადამკვირვებლო საქმიანობა ასევე მოიცავს მთლიან საარჩევნო ციკლზე დაკვირვებას და მისი მიზანია იკვლიოს პოლიტიკური კორუფცია. მიზნის მიღწევისთვის ახორციელებს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების და ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენების მონიტორინგს.

ორგანიზაცია კენჭისყრის დღეზე დაკვირვებას მობილური ჯგუფებისა და საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების დამკვირვებლების სახით ახორციელებს. ინციდენტებზე რეაგირებისას იყენებს საარჩევნო დავების მექანიზმს.

საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო (PMMG)

ორგანიზაციის პროფილი: საერთო - სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო (შემდგომში - მრავალეროვანი საქართველო) 1999 წელს დაარსდა და აერთიანებს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ, რელიგიურ და ლინგვისტურ ჯგუფებს.[4]

მრავალეროვანი საქართველო არის ქოლგა ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს რესურსით მხარდაჭერას და თანამშრომლობს 18 სათვისტომოსა და 56-მდე საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან, რომლებიც მუშაობენ საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ, რელიგიურ და ლინგვისტურ ჯგუფებთან, ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში.

მრავალეროვანი საქართველოს უმაღლესი მმართველობითი ორგანოა საერთო კრება, რომელიც წელიწადში ერთხელ ტარდება. იგი ირჩევს ორგანიზაციის თავმჯდომარესა და გამგეობის წევრებს, რომელთაც აღმასრულებელი ფუნქცია აკისრიათ. ორგანიზაცია მოქმედებს მთელი საქართველოს მასშტაბით და მისი ძირითადი აქტივობები მიმართულია საქართველოს დედაქალაქსა და ხუთ რეგიონში, სადაც წარმოდგენილია ეთნიკური, ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნება – ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი, კახეთი და აჭარა.

სადამკვირვებლო მისიის მანდატი: ორგანიზაცია 2003 წლიდან აკვირდება არჩევნებს საქართველოში და მისი დაკვირვების არეალი მოიცავს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ოლქებში საქმიანობას. მრავალეროვანი საქართველოს მიზანია გააძლიეროს ეთნიკურ უმცირესობათა ნდობა პოლიტიკური და საარჩევნო პროცესების მიმართ.

[4] ორგანიზაციაზე დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://www.pmmg.org.ge/

მრავალწლიანი გამოცდილებიდან და კონტაქტებიდან გამომდინარე, ორგანიზაცია კარგად იცნობს რეგიონებში არსებულ პოლიტიკურ გარემოს, ამომრჩეველთა ქცევას და განწყობებს საარჩევნო პროცესების მიმართ. ორგანიზაციის პროფილიდან გამომდინარე, მრავალეროვანი საქართველო, დაკვირვებას ახორციელებს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ოლქებში. დაკვირვების არიალი მოიცავს, როგორც წინასაარჩევნო, ასევე არჩევნების დღესა და შემდგომ პერიოდში დაკვირვებას სამივე დონის საარჩევნო კომისიაში. ინციდენტებზე რეაგირებისას იყენებს საარჩევნო დავების მექანიზმს.

აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (EECMD)

ორგანიზაციის პროფილი: EECMD (შემდგომში - ორგანიზაცია) 2017 წლიდან დარეგისტრირდა როგორც ადგილობრივი ორგანიზაცია ა(ა)იპ-ის იურიდიული ფორმით (ყოფილი Netherlands Institute for Multiparty Democracy - NIMD).[5]

ორგანიზაცია განაგრძობს ძალისხმევას, რათა განავითაროს პოლიტიკური აქტორების შესაძლებლობები, გაუმჯობესოს პოლიტიკური და საარჩევნო გარემო, აგრეთვე, გააძლიეროს დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა. ორგანიზაციის უმაღლესი მმართველი ორგანოა გენერალური ანსამბლეა, რომელიც იკრიბება სულ მცირე წელიწადში ერთხელ, რომელიც ირჩევს თავმჯდომარეს და ნიშნავს ცენტრის აღმასრულებელ დირექტორს.

პროგრამული თვალსაზრისით, EECMD-ის მიზანია გააძლიეროს შიდა პარტიული დემოკრატია და გამჭვირვალობა, მხარი დაუჭიროს დემოკრატიის სკოლებს თელავში, გორში, ქუთაისსა და ბათუმში, ფასილიტაცია გაუწიოს პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე დიალოგს და პოლიტიკურ პარტიებს გააცნოს ახალი ტექნოლოგიური მიდგომები და ინსტრუმენტები, რათა პარტიებმა შეძლონ უკეთესად ფუნქციონირება.

სადამკვირვებლო მისიის მანდატი: აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის სადამკვირვებლო ორგანიზაციად დარეგისტრირდა 2021 წლის აგვისტოში და ამავე წელს, პირველად მიიღო მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სადამკვირვებლო პროცესებში.

არჩევნების როგორც პირველი ასევე მეორე ტურის დროს EECMD-ის აკვირდებოდა მხოლოდ კენჭისყრის დღეს 13 დამკვირვებლის საშუალებით.

ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)

ორგანიზაციის პროფილი: ადამიანის უფლებათა ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) ყოფილი ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი (HRC) 1996 წლის 10

[5] ორგანიზაციაზე დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://eecmd.org/

დეკემბერს, თბილისში დაარსდა.[6] ცენტრის მიზანია საქართველოში ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობის გაზრდა. ცენტრის უმაღლესი მმართველობის ორგანოა საერთო კრება, რომელიც განსაზღვრავს ძირითად მიმართულებებსა და პროგრამებს. ცენტრის ხელმძღვანელობა აკისრია გამგეობას, რომელიც თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს.

სადამკვირვებლო მისიის მანდატი: ცენტრი, როგორც სადამკვირვებლო ორგანიზაცია, არჩევნებს საქართველოში 2008 წლიდან აკვირდება. ამ პერიოდიდან მოყოლებული, ორგანიზაცია საქართველოში ჩატარებულ ყველა არჩევნების კენჭისყრის დღის მიმდინარეობას დააკვირდა. მათ შორის, ორგანიზაციის დაკვირვების არეალში შედიოდა, დაკვირვება ოკუპირებული ტერიტორიებზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მიერ საარჩევნო უფლების განხორციელების პროცესზე.

2020-2021 წლების საარჩევნო ციკლის პერიოდში განხორციელდა გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისია, რომელმაც მოიცვა წინასაარჩევნო პერიოდზე დაკვირვებისა და სამართლებრივი დახმარების კომპონენტები ეთნიკურად კომპაქტურად დასახლებულ ოლქში - ქვემო ქართლის მასშტაბით (50 დამკვირვებელი). შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ცენტრის სადამკვირვებლო მისია მოიცავს: 1) ეთნიკური უმცირესობების დასახლებულ სოფლებს (ქვემო ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი); 2) კონფლიქტისპირა სოფლებს (შიდა ქართლი, სამეგრელო) და სხვადასხვა სპეციფიურ საარჩევნო უბნებს (აჭარა, იმერეთი).

არჩევნების დღეს და კენჭისყრის პროცედურებს ორგანიზაცია აკვირდება სტატიკური დამკვირვებლებისა და მობილური ჯგუფების მეშვეობით. არჩევნების დღეზე დაკვირვება მოიცავს არჩევნების სრულ პროცესზე დაკვირვებას, საარჩევნო უბნების გახსნიდან კენჭისყრის პროცესის დასრულებამდე, ასევე - ხმის დათვლისა და შემაჯამებელი ოქმების შევსების პროცესს. დაფიქსირებულ დარღვევებთან დაკავშირებით ორგანიზაციის წარმომადგენლები საჩივრებს წარადგენენ საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში.

ქართული საკანონმდებლო ჩარჩო (რეგისტრაცია, დაკვირვება, საარჩევნო დავები და ა.შ.) დადებითი მხარეები და გამოწვევები

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო, კვლევაში მონაწილე ორგანიზაციებთან ერთად გაანალიზდა სამი ძირითადი მიმართულებით:

- ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის რეგისტრაცია;
- არჩევნებზე დაკვირვება - დამკვირვებლის უფლებები;
- საარჩევნო დავების წარმოება.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის რეგისტრაცია: კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ საქართველოს ორგანული

[6]ორგანიზაციაზე დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://www.hrc.ge/home/eng/

კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (შემდგომში - საარჩევნო კოდექსი) მიხედვით, სადამკვირვებლო ორგანიზაციად რეგისტრაციის არსებული ნორმები მარტივია და არ აწესებს დამატებით ბარიერებს სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის.[7] საარჩევნო კოდექსის 39-ე მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია ორ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილდეს - დაკვირვებამდე 1 წლით ადრე რეგისტრაცია და სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში არჩევნებზე მონიტორინგის ან ადამიანის უფლებებზე მუშაობის დეკლარირება. კერძოდ: კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 1 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდება ან სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტი რეგისტრაციაში გატარების მომენტისათვის ითვალისწინებს არჩევნების მონიტორინგს ან/და ადამიანის უფლებათა დაცვას.

ციტატა:

„არსებული კანონმდებლობა, რომელიც სადამკვირვებლო ორგანიზაციების არჩევნებზე რეგისტრაციას საკითხს წყვეტს არ აწესებს დამატებით ბარიერებსა და რთულად შესასრულებელ წინაპირობებს არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, შესაბამისად, ნებისმიერი სუბიექტისთვის მარტივია არჩევნების დაკვირვების უფლების მოპოვება. სადამკვირვებლო მისიების შეუფერხებელი მუშაობისთვის ეს მნიშვნელოვანია…“

თუმცა იქვე, ყველა მათგანმა დაადასტურა, რომ არსებული პროცედურა ვერ ფილტრავს ისეთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა რეგისტრაცია დამკვირვებლებად ფორმალური ხასიათისაა და არჩევნებზე რეალურად პარტიულ, მიკერძოებულ პოლიტიკას ატარებენ.

ციტატა:

„…აღნიშნული მოთხოვნები მოქნილია და არასამთავრობო ორგანიზაციათა ფართო სპექტრს აძლევს შესაძლებლობას, მოიპოვონ დამკვირვებელი ორგანიზაციის სტატუსი. ეს ფაქტი დადებითად უნდა შეფასდეს. მეორეს მხრივ, არსებული ჩანაწერი შესაძლებლობას ქმნის ისეთი ორგანიზაციები დარეგისტრირდნენ დამკვირვებელ სუბიექტებად, რომლებსაც ადამიანის უფლებების დაცვა ან არჩევნების მონიტორინგი მხოლოდ სადამფუძნებლო დოკუმენტებში აქვთ დეკლარირებული. პრაქტიკაში კი, ამ მიმართულებით არავითარ საქმიანობას არ ახორციელებენ. შედეგად, დამკვირვებელ ორგანიზაციებად ხშირად რეგისტრირდებიან ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც სინამდვილეში პარტიულ ინტერესებს ატარებენ…“

მათი შეფასებით, მსგავსი ორგანიზაციები, არჩევნებზე მონიტორინგისას ხშირ შემთხვევაში, პარტიული სუბიექტების დეფაქტო წარმომადგენლები არიან.

[7] საქართველოს საარჩენო კოდექსი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=73

ციტატა:

„…დამატებით არასამთავრობო დამკვირვებელი ორგანიზაციების ნიღბის ქვეშ მმართველი პარტიის მხარდამჭერი ორგანიზაციების საარჩევნო უბნებზე ყოფნა ქმნის არათანაბარ გარემოს მმართველი პარტიის სასარგებლოდ. ეს კი ხელს უშლის არჩევნების თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარებას.“

ბლანკეტური ფილტრის არსებობა, კანონმდებლობაში, ვერ უზრუნველყოფს მსგავსი ორგანიზაციების იდენტიფიცირებას. ასეთი სადამკვირვებლო მისიები, არჩევნების დღეს, დიდ გავლენას ახდენენ ამომრჩევლის ნების კონტროლზე უბნის შიგნით, ასევე, ხშირად, ხელს უშლიან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს მუშაობაში. თუმცა, რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, დამატებითი რეგულაციების გაჩენა და ბარიერების შეტანა საარჩევნო კანონმდებლობაში რისკის მატარებელია, რომ მათი გამოყენება სწორედ სანდო და აპოლიტიკური სადამკვირვებლო ორგანიზაციების წინააღმდეგ მოხდება.

ციტატა:

„…სადამკვირვებლო ორგანიზაციების რეგისტრაციაში დამატებითი ბარიერების შეტანა რისკის მატარებელია და შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს საარჩევნო პროცესის დაკვირვებაზე…“

მიგნება: ამ ეტაპზე ცვილებების განხორციელება საარჩევნო კანონმდებლობაში და დამატებითი რეგულაციების გაჩენა რისკის მატარებელი იქნება სანდო და აპოლიტიკური ორგანიზაციებისთვის. კვლევაში მონაწილე ორგანიზაციები თანხმდებიან, რომ ამ თემაზე თანდათანობით უნდა გაიხსნას დისკუსია სანდო სადამკვირვებლო ორგანიზაციების, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების/მკვლევარების ჩართულობით.

ციტატა:

„არ ვემხრობი სახელმწიფოს მხრიდან ე.წ. „გონგოებთან“ დაკავშირებული რეგულაციების შემოღებას. გონგოებს ორგანიზაციებმა უნდა ებრძოლონ რეპუტაციით და საღი აზრით. ასევე, ორგანიზაციებმა უნდა შეისწავლონ გონგოების საქმიანობა და საზოგადოებას უნდა მიაწოდონ დეტალური ინფორმაცია მათი საქმიანობის, შემადგენლობის და მიზნების შესახებ…“

დადებითად შეფასდა ცესკო-ს მიერ შემოღებული სიახლეები, რომლებიც სადამკვირვებლო ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს ელექტრონულად დაარეგისტრირონ ან მოხსნან დამკვირვებლები, რაც ამარტივებს სამუშაო პროცესს. ამასთან, გადაწყვეტილების მიღება პირის რეგისტრაციაზე დროულად ხდება.

ციტატა:

„დადებითად უნდა შეფასდეს ცესკო-ს მიერ შემოღებული სიახლეები, რომლებიც სადამკვირვებლო ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს ელექტრონულად დაარეგისტრირონ ან

მოხსნან დამკვირვებლები, რაც ამარტივებს სამუშაო პროცესს. ამასთან, გადაწყვეტილების მიღება პირის რეგისტრაციაზე დროულად ხდება. მიუხედავად ამისა, სადამკვირვებლო ორგანიზაციებს მაინც აქვთ შეზღუდვები ვადებში. არჩევნებამდე 1 კვირით ადრე ბაზა იხურება, რაც შეუძლებელს ხდის დამკვირვებლის ჩანაცვლებას არჩევნების წინ. ეს ფაქტი ხელს უშლის მისიის სრულყოფილად ჩატარებას." (ელექტრონული პლატფორმა შექმნილია ევროპის საბჭის საარჩევნო მხარდაჭერის პროექტის ხელშეწყობით, ავტ. შენიშვნა).

დადებითი სიახლეების მიუხედავად, გარეულ გამოწვევებზე მაინც საუბრობენ. კერძოდ:

1. **სადამკვირვებლო ორგანიზაციებს მაინც აქვთ შეზღუდვები ვადებში.** არჩევნებამდე 1 კვირით ადრე ბაზა იხურება, რაც შეუძლებელს ხდის დამკვირვებლის ჩანაცვლებას კენჭისყრის დღის წინ. რაც ხელს უშლის მისიის სრულყოფილად ჩატარებას;
2. ელექტრონული რეგისტრაციის მიუხედავად, **პარტიული ინტერესების გამტარი ორგანიზაციები ახერხებენ დამკვირვებლებად დაარეგისტრირონ ისეთი პირები, რომელთაც საარჩევნო კოდექსის მიხედვით აკრძალული აქვთ დამკვირვებლობის უფლება** (მაგალითად, საკრებულოს დეპუტატი, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი).

მიგნება: მნიშვნელოვანია, რომ გადაიხედოს როგორც საარჩენო კოდექსი (დამკვირვებელთა ჩანაცვლების და რეგისტრაციის გახანგრძლივების მიზნით), ასევე ელექტრონული რეგისტრაციის პროცესის მარეგულირებელი აქტები (საკრებულოს დებუტატების და სხვა პირდაპირი წესით არჩეული პოლიტიკური თანამდებობის პირთა რეესტრის/ბაზების წარმოების მიზნით).

დამკვირვებლის უფლებები: კვლევაში მონაწილე ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ კანონმდებლობის დონეზე **სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლების უფლებები ფართე და დაცულია, თუმცა ხშირია მათი არასწორი განმარტება პრაქტიკაში. მაგალითად, ხშირია შემთხვევები, როდესაც დამკვირვებლებს უზღუდავენ ფოტო-ვიდეო გადაღების უფლებას, ხელმძღვანელობენ რა ცესკო-ს დადგენილებით ფოტო-ვიდეო გადაღების შესახებ.** აღნიშნულის გამო, დამკვირვებლებს უჭირთ მოიპოვონ მტიცებულებები საარჩევნო პროცედურული დარღვევებისა და სავარაუდო დანაშაულის ნიშნების შემცველი ფაქტების თაობაზე.

ციტატა:

„…ხშირია პრაქტიკული პრობლემები, როდესაც საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები არასწორად განმარტავენ კანონმდებლობას და კონკრეტულ უფლებებს (მაგალითად, ფოტო-ვიდეო გადაღების უფლება) უზღუდავენ ასეთი ორგანიზაციების წარმომადგენლებს. დამკვირვებლის უფლებებში ჩარევა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობაა საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, რაც ერთგვარ გარანტიებს აძლევს ორგანიზაციის წარმომადგენლებს, თუმცა, მეორე მხრივ, პრობლემურია ნორმის აღსრულება როგორც საოლქო საარჩევნო კომისიების, ასევე სასამართლოს დონეზე."

საარჩევნო დავები: საარჩევნო დავების წარმოების გამოცდილების მქონე ორგანიზაციების განმარტებით, 2021 წლის საარჩევნო რეფორმის ფარგლებში საარჩევნო დავების კუთხით განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, კანონმდებლობასა და პრაქტიკაში რჩება პრობლემები, რომლებიც უარყოფითად აისახება, როგორც საარჩევნო დავების უფლების გამოყენების, ასევე უშუალოდ განხილვა/წარმოების კუთხით.

საარჩევნო კოდექსსა და პრაქტიკაში არსებული პრობლემები - ცვლილებების მიუხედავად, პრობლემად რჩება, როგორც საარჩევნო დავების განხილვის (სრული წარმოება, გადათვლის პროცესში სრული საარჩევნო დოკუმენტაციიის გადათვლა), ასევე გასაჩივრების ვადების (არასაკმარისი გასაჩივრების ვადები), აღსრულების და საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩადენილი დარღვევების აღსრულების საკითხები (მაგალითად, შსს-ს მიერ ეფექტიანი აღსრულებისა და მიმდებარე ტერიტორიაზე ჩადენილი დარღვევების ზუსტი აღრიცხვა).[8]

ციტატა:

„…თვლიან მხოლოდ ბიულეტენებს დასტაში და არ ადარებენ სამაგიდო სიებს, რაც შეიძლება უბნის ბათილობის საფუძველიც გახდეს…“

„ამ მხრივ, 2021 წელს საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, კვლავ პრობლემურია საარჩევნო დავების განხილვისა და გასაჩივრების ვადები. რაც ხელს უშლის ორგანიზაციებს მოამზადონ დასაბუთებული და არგუმენტირებული საჩივრები და შეძლონ მათი დროულად წარდგენა საარჩევნო კომისიებსა თუ სასამართლოებში.“

ასევე, პრობლემას წარმოადგენს განუხილველობის საფუძველი, როდესაც იმავე დარღვევაზე უკვე სხვა ორგანიზაციას აქვს საჩივარი/სარჩელი წარდგენილი. ხშირია შემთხვევები, როდესაც არ ხდება საქმის გაერთიანება და რეალურად შესაძლებელია მოხდეს, ისე რომ პოლიტიკურად მოტივირებულმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ დაიწყოს დავა და „არ ჰქონდეს სათანადო მტკიცებულებები“ ან მტკიცებულებები არასათანადოდ იყოს წარდგენილი, რაც, რა თქმა უნდა, სარჩელის/საჩივრის არ დაკმაყოფილებას ან განუხილველად დატოვებას იწვევს. ამ შემთხვევაში სანდო სადამკვირვებლო ორგანიზაციას უკარგავას უფლებას იმავე დარღვევაზე გამოიყენოს გასაჩივრების უფლება.

[8] საიას საარჩევნო დავების განხილვის ძირითადი ტენდენციები, ანგარიში ხელმისაწვოდმია შემდგებ ბმულზე:
https://www.gyla.ge/files/2020/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%9D%20%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%20%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf

აღნიშნულის გარდა, საჭიროება დგას **ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შეზღუდვის მიზნით კიდევ უფრო დაკონკრეტდეს შესაბამისი სამართლებრივი ნორმები.**

მიგნება: არსებითად მიგვაჩნია, გადაიხედოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისი ნორმები და გამოწვევების/მიგნებების გათვალისწინებით დაიგეგმოს ცვლილებების განხორციელება.

საერთაშორისო სტანდარტები და კარგი პრაქტიკა

საარჩევნო პროცესში ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მონიტორინგს არსებითი მნიშვნელობა აქვს. ისინი სრულ საარჩევნო ციკლს აკვირდებიან, დაწყებული წინასაარჩევნო პერიოდით და დამთავრებული საარჩევნო დავებითა და პროცესის დასრულების შემდგომ საარჩევნო კანონმდებლობისა და გარემოს გაჯანსაღების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება/განხილვაში მონაწილეობით. მათ კარგად ესმით ადგილობრივი კულტურა, პოლიტიკური კონტექსტი, ადგილობრივი კანონმდებლობა და შეუძლიათ, ერთის მხრივ, ხელი შეუწყონ საარჩევნო პროცედურების კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებას, ხოლო, მეორე მხრივ, - საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას სტანდარტებსა და ღირებულებებზე. მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ არჩევნების საჯაროობისა და გამჭვირვალობის თვალსაზრისით. მათი საქმიანობა სამ ძირითად კომპონენტად იყოფა:

- ინფორმაციის შეგროვება და საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული ფაქტების დოკუმენტირება;
- ფაქტების/ინფორმაციის შეფასება იმის დასადგენად თუ რამდენად შეესაბამება არჩევნები საერთაშორისო სტანდარტეებს;
- მონაწილეობა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების მიერ მიწოდებულ რეკომენდაციების შესრულებაში, და რეფორმებში შეტანილი წვლილი არჩევნების შემდგომ.[9]

საერთაშორისო სტანდარტები საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული გამოწვევების საპირწონედ:[10]

- **სადამკვირვებლო ორგანიზაციის რეგისტრაცია:** არჩევნებზე დაკვირვების პროცესი უნდა იყოს ინკლუზიური და სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ არჩევნების ყველა დონეზე დაკვირვებას. აკრედიტაციის პროცესი უნდა იყოს მარტივი, არ გაიწელოს დროში და ჩატარდეს ობიექტურ და გონივრულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. ის

[9] საერთაშორისო საარჩევნო სტანდარტების გამოყენება, ევროპის საბჭო, 2017 წ. დოკუმენტი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://rm.coe.int/168059798b
[10] იქვე, გვ.125-133.

უნდა იძლეოდეს საჭირო რაოდენობით დამკვირვებლების აკრედიტაციის საშუალებას.

- **არჩევნებზე დაკვირვება - დამკვირვებლის უფლებები:** დაკვირვების შედეგად შეიძლება მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოძიება ჩატარებული არჩევნების კანონიერების შესახებ, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია განვითარებადი დემოკრატიებისთვის. არჩევნებზე ეფექტიანი დაკვირვება გულისხმობს საარჩევნო პროცესის ყველა ასპექტისა და ეტაპის შესწავლას - არჩევნებამდე, არჩევნების დღეს და მის შემდეგ პერიოდში. დამკვირვებლებისთვის გარანტირებული უნდა იყოს გადაადგილების თავისუფლება იმ ტერიტორიებზე, სადაც არჩევნები ტარდება, ასევე, დაკვირვება საარჩევნო პროცესის ყველა ეტაპზე. კანონი მხოლოდ გონივრულ შეზღუდვებს უნდა აწესებდეს ამასთან დაკავშირებით და ნათლად ადგენდეს, სად არ დაიშვებიან დამკვირვებლები, რათა თავიდან აიცილონ კანონის არაერთგვაროვანი განმარტება.

ციტატა:

„ბოლო დროს არსებობს ტენდენცია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიები, ცენტრალური საარჩევნო კომისია და სასამართლოები არასწორად განმარტავენ დამკვირვებლების ფოტო-ვიდეო გადაღების უფლებას. ამ მხრივ, დამკვირვებლებს უფრო მეტი უფლება აქვს ვიდრე მედიას. თუმცა, ამ არჩევნებზე განსაკუთრებით, ამ უფლების რეალიზების მხრივ საუბნო საარჩევნო კომისიები დამკვირვებლებს მედიასთან ათანაბრებდნენ.“

- **საარჩევნო დავები:** უნდა არსებობდეს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევათა გასაჩივრების შესაძლებლობა, რათა დაცული იყოს საარჩევნო პროცესის კანონიერება და ამომრჩეველთა უფლებები. საჩივრები მიზნად უნდა ისახავდეს სწორი გადაწყვეტილებების მიღებას, დარღვევების აღმოფხვრას, ან არჩევნების შედეგების ბათილად ცნობას - ნაწილობრივ ან მთლიანად. შესაბამისად, საარჩევნო დავების განხილვის, საარჩევნო სამართალდარღვევებისა და გასაჩივრების პროცესის ფარგლებში არსებითია:
    - სამართალდარღვევათა გასაჩივრების შესაძლებლობას უნდა ითვალისწინებდეს კანონი და უზრუნველყოფილი იყოს მისი აღსრულება;
    - საარჩევნო დავების განმხილველი ორგანო უნდა იყოს კომპეტენტური და მიუკერძოებელი;
    - გასაჩივრების პროცედურები ნათლად და არაორაზროვნად უნდა გაიწეროს კანონით, შესაბამისი სტანდარტების დაცვით, რაც გულისხმობს, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს უფლებები: მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ; საჩივრის სამართლიანი და საჯარო განხილვის შესახებ; დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სამართალწარმოების შესახებ.

ციტატა:

„საჩივრების შინაარსობრივი განხილვის თემას რაც შეეხება, აქ არის სრული კატასტროფა საოლქო საარჩევნო კომისიებში და სასამართლოებში. ათიდან ცხრა შემთხვევაში აქ არსებითი განხილვა არ ხდება. ხდება ფორმალური განხილვა და არანაირი სურვილი არ არის, რომ დადგინდეს დარღვევის არსი. ფაქტობრივად, ორგანიზაცია გამოდის, რომ საჩივარს წერს იმისთვის რომ დააფიქსიროს, რომ დარღვევა იყო და არავითარი იმედი არ აქვს, რომ ამ საჩივარზე სათანადო რეაგირება იქნება. საკანონმდებლო ცვლილებებით შეიძლება მინიმუმ იმ სტიმულის მიცემა რომ გაუმჯობესდეს, თუნდაც კონკრეტული ვალდებულებების შემოტანის და დაზუსტების გზით. საჭიროა დისკუსიის წამოწყება იმისთვის, რათა განისაზღვროს როგორ შეიძლება დავების განხილვის პროცესის გაუმჯობესება.“

მიგნება: საქართველოს საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩოსა და საერთაშორისო სტანდატების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ხშირ შემთხვევაში საკანონმდებლო ჩარჩოს დონეზე ფორმალურად დაცულია საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები, თუმცა პრაქტიკაში, უმრავლეს შემთხვევაში, იკვეთება სტანდარტთან შეუსაბამო მანკიერი პრაქტიკის დანერგვა და საკანონმდებლო ნორმების არასწორი/შეუსაბამო განმარტება.

ციტატა:

„არჩევნების დღეს ორგანიზაციის დამკვირვებლებს ექმნებათ კონკრეტული პრობლემები კომისიების თავმჯდომარეების მიერ კანონმდებლობის განმარტების კუთხით. განსაკუთრებით ფოტო-ვიდეო გადაღების მხრივ. დამკვირვებლებს ხშირად ექმნებათ პრობლემები არჩევნების დღეს ამ მხრივ. კიდევ არის სხვა სახის პრობლემები სხვადასხვა ნორმების განმარტების მხრივ. მოკლედ რომ ვთქვათ, ბევრი რამ დამოკიდებულია კომისიის თავმჯდომარის პიროვნებაზე. ერთგვაროვანი პრაქტიკის დადგენა, კანონის განმარტების დახვეწა, კანონის არაორაზროვნად ჩამოყალიბება მნიშვნელოვან წილად შეუმსუბუქებს შრომას დამკვირვებლებს.“

საერთაშორისო ორგანიზაციების/დონორების მხარდაჭერა

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შესწავლის საგანი იყო ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების ინსტიტუციური და შესაძლებობის განვითარების მხარდაჭერის ანალიზი საერთაშორისო ორგანიზაციების/დონორთა მხრიდან. შესაბამისად, კვლევაში მონაწილე ორგანიზაციებისთვის შედგენილი კითხვარი მოიცავდა საკითხებს, თუ რა ტიპის მხარდაჭერას იღებენ საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან და რას ფიქრობენ, რა არის დამატებით საჭირო მათი ინსტიტუციური გაძლიერებისთვის.

შესაბამისად, ყურადღება გამახვილდა ორ კომპონენტზე: **ინსტიტუციური (პოლიტიკის დონეზე) და ტექნიკურ მხარდაჭერაზე** დაკვირვების პროცესში. კერძოდ:

1. **ინსტიტუციური (პოლიტიკის დონეზე) მხარდაჭერა** - საერთაშორისო ორგანიზაციები/დონორები ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს მხარს უჭერენ ინსიტუციურ/პოლიტიკის დონეზე. სხვადასხვა სახის სამუშაო/სადისკუსიო ფორმატის ჯგუფების არსებობა ხელს უწყობს ინფორმაციის გაზიარებას და ადვოკატირების მრავალმხრივ ფორმატში ფუნქციონირებას, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივით/მონაწილეობით.

ციტატა:

„… დონორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის არსებული დინამიკა ხელს უწყობს და აძლიერებს ორგანიზაციის ადვოკატირების პოტენციალს…

… გამომდინარე აღნიშნულიდან გარდა ფინანსური მხარდაჭერისა, საერთაშორისო ორგანიზაციები გვევლინებიან როგორც სანდო პარტნიორები საარჩევნო გარემოს პოზიტიური კორექციის კონტექსტში…“

2. **ტექნიკური (მათ შორის, ფინანსური) მხარდაჭერა დაკვირვების პროცესში** - ტექნიკურ მხარდაჭერას გადამწყვეტი მნიშნველობა აქვს ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის. როგორც წესი, დონორი ორგანიზაციები დამატებით ფინანსებს გამოყოფენ სადამკვირვებლო მისიებისთვის, რაც შესაძლებლობას იძლევა ორგანიზაციამ გაზარდოს დაკვირვების მასშტაბები და მეტი საუბნო საარჩევნო კომისია დაფაროს. ეს მნიშვნელოვანია მისიის მიგნებების განზოგადების კუთხით და სოციოლოგიურ მნიშვნელობას ატარებს. დაკვირვების პროცესში მნიშვნელოვანია მორალური მხარდაჭერაც, დონორი ორგანიზაციებისა და პარტნიორი საელჩოების მხრიდან საარჩევნო შტაბში ვიზიტი აძლიერებს სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლების მოტივაციას, წარმოაჩენს ნდობას მათი საქმიანობის მისამართით, რაც მეტ ღირებულებას მატებს მისიის მიგნებებს.

ორგანიზაციები ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციების მიერ მათი შესაძლებლობების განვითარების, ინსტიტუციური გაძლიერებისკენ მიმართული საქმიანობებს. მაგალითად, მათი აზრით ევროპის საბჭოს საარჩევნო მხარდაჭერუს პროექტის მიერ მათი საარჩევნო ანგარიშების გაუმჯობესებისკენ მიმართული მხარდაჭერამ მათ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია.

ციტატა:
„ევროპის საბჭოსთან კონტაქტები უფრო ინტენსიური წინასაარჩევნო პერიოდის დროს ხდება. ევროპის საბჭოს ექსპერტის მხარდაჭერა ანგარიშების წერის მხრივ ძალიან ფასეული იყო.“

არსებითი მხარდაჭერის მიუხედავად, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციები აკეთებენ ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიმართ, კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების აზრით, მნიშვნელოვანია:

- **მოქნილობა გადაწყვეტილების მიღებისას** - სადამკვირვებლო მისიის ფორმირება და მიზნების განხორციელება კომპლექსური და ვადებში შემჭიდროვებული პროცესია.

სხვადასხვა გაუთვალისწინებელი ფაქტორების ხარჯზე, გეგმები ხშირად იცვლება. ასეთ დროს, მნიშვნელოვანია, რომ დონორი ორგანიზაციები გამოთქვამენ მზაობას **დადგენილზე სწრაფ ვადებში მიიღონ გადაწყვეტილებები და გაუმარტივონ ორგანიზაციებს ახალ რეალობასთან მორგება;**

- არსებული მხარდაჭერის მიუხედავად, მნიშვნელოვანია **დამატებითი ნაბიჯების გადადგმა** - სადამკვირვებლო მისია შედგება არამხოლოდ არჩევნების დღისგან, არამედ წინასაარჩევნო პერიოდისგან. მასზე გავლენას ახდენს ის პროცესებიც, რომლებიც არასაარჩევნო წლებში ხდება. ზუსტი დასკვნების გასაკეთებლად და საარჩევნო გარემოს სწორად შესაფასებლად, არსებითია, რომ **ეს პროცესი იყოს უწყვეტი და განგრძობადი.**

ციტატა:

„…საერთაშორისო ორგანიზაციების/დონორების მიერ მხარდაჭერილი პროექტები მცირებიუჯეტიანია და დამკვირვებელთა მასშტაბური მობილიზება ვერ ხერხდება…“

„…ხშირ შემთხვევაში, სადამკვირვებლო მისიებისთვის განკუთვნილი გრანტები, დონორების მხრიდან, გაიცემა არჩევნების დღემდე რამდენიმე თვით ადრე, რაც ხელს უშლის ორგანიზაციებს, წინასწარ გაწერილი მეთოდოლოგიით, უწყვეტად დააკვირდნენ მოვლენებს და ამავე კონტექსტში შეაფასონ არჩევნების დღეც. ძირითადად, ამ სტანდარტის შენარჩუნება შიდა ორგანიზაციული რესურსების ათვისების ხარჯზე ხორციელდება. ამასთან, გრანტის მჭიდრო ვადებში მოპოვება პრობლემას უქმნის უშუალოდ მისიის განხორციელებასაც, რადგან ორგანიზაცია ბოლო მომენტამდე ვერ ახერხებს იმის განსაზღვრას, რა რესურსით შეუძლია დააკვირდეს არჩევნების დღეს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სადამკვირვებლო მისიისთვის განკუთვნილი საგრანტო განაცხადების მიღება და დადასტურება არ ებმოდეს უშუალოდ არჩევნების დღეს ან კანონით განსაზღვრულ წინასაარჩევნო პერიოდს, რათა საარჩევნო წელს ორგანიზაცია მომზადებული შეხვდეს და წინასწარ განჭვრიტოს რა მოცულობით დააკვირდება არჩევნებს.“

მიგნება: მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს და გაძლიერდეს არჩევნებზე დაკვირვების ინსტიტუციური და ტექნიკური (მათ შორის, ფინანსური) მხარდაჭერა, ვინაიდან სანდო სადამკვირვებლო ორგანიზაციების რესურსი არ არის საკმარი ფართომასშტაბიანი სადამკვირვებლო მისიების განხორციელებისათვის; საერთაშორისო/დონორმა ორგანიზაციებმა მეტი მოქნილობა გამოიჩინონ და ადგილობრივი კონტექსტის შესაბამისად დაგეგმონ საგრანტო განაცხადების მიღების კონკურსი/გრანტების გაცემა სანდო სადამკვირვებლო ორგანიზაციებზე.

საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობის პრაქტიკა

კვლევაში მონაწილე სადამკვირვებლო ორგანიზაციებს საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან (სახელმწიფო ინსტიტუციები, მედია, ამომრჩეველი, პოლიტიკური პარტიები და

სხვა) ურთიერთობის/თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება დაუგროვდათ. თითოეულ მათგანთან ურთიერთობას და თანამშრომლობას არსებითი მნიშვნელობა აქვს ჯანსაღი საარჩევნო გარემოს შექმნის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვადებულობის სტანდარტების დამკვიდრების, არჩევნების საჯაროობისა და ამომრჩეველთა ინფორმირებული არჩევანის ჩამოყალიბების პროცესში.

ორგანიზაციებმა ინდივიდუალურ რეჟიმში განიხილეს თითოეული ჯგუფი. მათი განმარტებით:

- **პოლიტიკური აქტორები, მათ შორის ოპოზიციური ჯგუფები** - ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში, პროაქტიულად აწვდიან სადამკვირვებლო მისიებს ინფორმაციას სავარაუდო დარღვევების შესახებ. ხშირ შემთხვევაში, ისინი ითხოვენ ორგანიზაციის მხარდაჭერას ან წარმომადგენლობას შესაბამის უწყებებში. ეს მიდგომა ორგანიზაციებს ეხმარება ისეთი ფაქტების იდენტიფიცირებაში, რომლებიც სხვა შემთხვევაში ცნობილი ვერ გახდებოდა მათთვის. შესაბამისად, ეს ურთიერთობა აფართოებს მისიის მიერ დაფარულ მასშტაბებს. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში, პარტიების მიერ მოწოდებული ინფორმაცია დიდი მოცულობისაა და ორგანიზაციებს არ აქვთ რესურსი მისი სრულად დამუშავების, რადგან მათი სიღრმისეული კვლევა შეიძლება სცდებოდეს სადამკვირვებლო მისიის მიზნებს და შემჭიდროვებულ ვადებს.

ციტატა:

„ორგანიზაცია წლებია აქტიურად თანამშრომლობს პოლიტიკურ პარტიებთან მათი ინსტიტუტიციური, ორგანიზაციული და საარჩევნო შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით... შესალებლობა: სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების თანამშრომლობის გაძლიერება.“

„პარტიებთან ორგანიზაციას სამუშაო ურთიერთობა აქვს. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ორგანიზაციას ხშირად უკავშირდებიან რჩევებისთვის და კონსულტაციებისთვის. განსაკუთრებით თუ პარტიები ფიქრობენ, რომ მათი უფლებები დაირღვა და საჭიროა რომ ორგანიზაციამ ამაზე გარკვეული რეაგირება მოახდინოს მაგალითად, ფაქტის შესწავლის და მასზე განცხადების გაკეთების გზით. პოლიტიკურ პარტიებს აქვთ ორგანიზაციების იურისტების ნომრები და არჩევნების დღეს დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში მათ ურეკავენ, რომ გადაამოწმონ. ორგანიზაციას ასევე დიდი სურვილი აქვს რომ სამუშაო და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდეთ, ასევე მმართველ პოლიტიკურ პარტიასთან. თუმცა, როგორც წესი, არჩევნების კუთხით ისინი ორგანიზაციასთან არ მოდიან ხოლმე თანამშრომლობაზე. პირიქით, ისინი პრესკონფერენციებსაც კი აწყობენ იმის სათქმელად თუ როგორი არაკომპეტენტურია ორგანიზაცია.“

- **ხელისუფლება** - ხელისუფლებასთან ურთიერთობა ძირითადად რეაქტიულია. პრობლემურია 2020 და 2021 წლის არჩევნების ფონზე გამოვლენილი ტენდენცია, სადაც

ხელისუფლება უპირისპირდება უშუალოდ მისიის მიგნებების შინაარსს და ცდილობს ეჭვი შეიტანოს ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ანგარიშის კომპეტენციაში და ასე მოახდინოს სანდო სადამკვირვებლო ორგანიზაციების დისკრედიტაცია.

ციტატა:

„ორგანიზაცია ინარჩუნებს კონსტრუქციულ ურთიერთობას ხელისუფლებასთან და აქვს შესაძლებლობა, მათ შორის, დახურულ კარს მიღმა მიმოიხილოს კონკრეტული საკითხები და განაგრძოს რეფორმების ადვოკატირება.“

„ბოლო წლებში ხელისუფლება ნაკლებად თანამშრომლობს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. ამის მიუხედავად, ორგანიზაცია ინარჩუნებს თანამშრომლობის მინიმალურ არხებს მმართველ პარტიასთან, თუმცა აღარ ახორციელებს ორგანიზაციული განვითარების, ცოდნის გადაცემის თუ სხვა პროგრამებს მათთან.“

- **საარჩევნო ადმინისტრაცია** - საარჩევნო ადმინისტრაციასთან მუშაობისა და თანამშრომლობის პროცესი ზოგადად დადებითია და ორმხრივ თანამშრომლობაზეა აგებული, თუმცა არაერთგვაროვნებაც იკვეთება სამივე დონის ადმინისრაციის ფარგლებში, კერძოდ: 2021 წლის განმავლობაში, ცესკო განსაკუთრებით აქტიურად მუშაობდა სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან და უზრუნველყოფდა მათ მაქსიმალურ ჩართულობას ყველა მნიშვნელოვან პროცესში. საარჩევნო ადმინისტრაციის წევრები, ასევე კონკრეტული დეპარტამენტების წარმომადგენლები მუდმივ კომუნიკაციაში არიან არჩევნების დღემდე და არჩევნების დღეს წარმომადგენლებთან და უზრუნველყოფენ პრობლემების გადაჭრას, შესაძლებლობის ფარგლებში. ცესკო თითქმის ყოველთვის დათქმულ ვადებში აწვდის ორგანიზაციებს საჯარო ინფორმაციასაც. განსხვავებული მდგომარეობაა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში. ისინი ნაკლებად თანამშრომლობენ სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან. საუბნო საარჩევნო კომისიების შემთხვევებში, ზოგჯერ, გამოიხატება აგრესია სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლების მხრიდან. მეტად პროფესიულ ურთიერთობას ინარჩუნებენ საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არჩევნების დღეს, შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებთან პირდაპირი კომუნიკაციის საშუალება აქვთ.

  საარჩევნო ადმინისტრაციასა და ორგანიზაციებს შორის არის უთანხმოების საკითხებიც, თუმცა ეს არ არის ისეთი თემები, რომელთა გადალახვა შეუძლებელია.

  მიგნება: სადამკვირვებლო ორგანიზაციებსა და საარჩევნო ადმინისტრაციას (ძირითადად ცესკო) შორის ურთიერთობა თანამშრომლობაზეა ორიენტირებული, თუმცა, გარკვეული გამოწვევები და შეუთანხმებელი საკითხები არსებობს (მაგალითად, სოციალური ქსელები წინასაარჩევნო პერიოდში და ამ სივრცეში განხორციელებული დარღვევები). ორგანიზაციები საუბრობენ, ასევე, საარჩევნო ადმინისტრაციის ნდობის დაბალ ხარისხსა და ავტონომიურობის გამოწვევებზე.

ციტატა:

„საარჩევნო ადმინისტრაციასთან ორგანიზაციას ტრადიციულად პოზიტიური თანამშომლობის გარემო აქვს…“

„საარჩევნო ადმინისტრაციასთან ორგანიზაციას მუდამ ჰქონდა მჭიდრო ურთიერთობა. თუმცა, ასევე არსებობს ბევრი კარგად ცნობილი უთანხმოება გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. ეს არ არის ისეთი სახის უთანხმოებები რომელთა გადალახვა შეუძლებელი იყოს.“

- **სახელმწიფო აუდიტის სამსახური** - უმრავლესობა ორგანიზაციებისთვის სახელმწიფო აუდიტთან ურთიერთობა მინიმალურია, ვინაიდან მათი სადამკვირვებლო მისიის ფორმატი არ ითვალისწინებს მონიტორინგს. თუმცა კარგი ურთიერთობა აქვთ აუდიტის სამსახურთან და არასდროს შექმნიათ ინფორმაციის მიღების პრობლემა. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ **აუდიტი გახსნილია სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისათვის, თუმცა, ბოლო რამდენიმე არჩევნებზე გამოიკვეთა უწყების არაეფექტიანობა.**

ციტატა:

„ორგანიზაციას სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან კარგი ურთიერთობა აქვს და არასოდეს შექმნიათ მათგან ინფორმაციის მიღების პრობლემა. კარგი იქნება 'გრეკო' თუ შეისწავლის ბოლო დროს განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს და მათ შესახებ საკუთარ მოსაზრებებს წარადგენს. ასევე, კარგი იქნება თუ მოხერხდება პარტიების დაფინანსების მონიტორინგის შესახებ საერთაშორისო კარგი პრაქტიკის და მისი საქართველოს რეალობაში გადმოტანის შესახებ კვალიფიციური კვლევის მომზადება.“

- **კომუნიკაციების კომისია** - კვლევაში ჩართულ ორგანიზაციებს მინიმალური კომუნიკაცია აქვთ კომუნიკაციების კომისიასთან. ერთ-ერთი მათგანი ფიქრობს, რომ მათთან გადაკვეთა, შესაძლებელია მხოლოდ დავის არსებობისას, **თუმცა, საარჩევნო პერიოდში, კომუნიკაციების კომისიას, არ უნდა ჰქონდეს მსგავსი საკითხების გადაჭრის უფლებამოსილება.**
- **სამართალდამცავი ორგანოები** - არჩევნების დღეს, სამართალდამცავი ორგანოები, როგორც წესი, გამოყოფენ საკონტაქტო პირს სადამკვირვებლო მისიებისთვის, რაც სადამკვირვებლო ორგანიზაციებისათვის მისაღებია. სხვა მხრივ, როგორც **წინასაარჩევნო ასევე საარჩევნო პერიოდში ორგანიზაციები მოკლებულნი არიან ინფორმაციის დროულ და ეფექტიან მიღებას, რაც ხელს უშლის როგორც საბოლოო ანგარიშზე მუშობას, ისე სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის შეფასებას არჩევნებთან მიმართებით. ხშირ შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოები, ორგანიზაციების მიერ დაფიქსირებულ სამართალდარღვევებზე არაეფექტიანად რეაგირებენ.**

- **მედია ორგანიზაციები** - ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები აქტიურად თანამშრომლობენ მედიასაშუალებებთან. ისინი ეხმარებიან ორგანიზაციებს მიგნებების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობაში. ამასთან, მედიის მიერ გაშუქებული ინფორმაციის საფუძველზე, ორგანიზაციებს ინფორმაციის მოპოვების დამატებითი შესაძლებლობა აქვთ (მედია მონიტორინგი), რომელსაც შემდეგ მათი გრძელვადიანი დამკვირვებლები ამოწმებენ ადგილებზე. მსგავსი ურთიერთობა გრძელდება არჩევნების დღესაც. მედიისთვის იქმნება ცხელი ხაზი, სადაც ისინი სავარაუდო დარღვევების შესახებ ინფორმაციას აწვდიან ორგანიზაციებს. მიღებული შეტყობინების საფუძველზე, ორგანიზაციის წარმომადგენლები თავად ამოწმებენ ფაქტებს და საჭიროებისამებრ გადიან შესაბამის ადგილზე. ორგანიზაციები კენჭისყრის დღეს ეფექტიანად იყენებენ ღია საზოგადოების ფონდის მიერ შექმნილ საარჩევნო მედიაცენტრს, სადაც არჩევნების დღის განმავლობაში და არჩევნების მეორე დღეს რამდენიმე ბრიფინგს ატარებენ. **მედია საშუალებები, საზოგადოებისთვის ცნობიერების ამაღლების სფეროში, ძირითადი მოკავშირეები არიან. არსებითია მათი როლი ეთნიკური უმცირესობებისთვის შესაბამის ენაზე საარჩევნო ხასიათის საინფორმაციო და შემეცნებითი ვიდეო და აუდიო პროდუქტის შექმნის პროცესში.**
- **სხვა დამკვირვებელი ორგანიზაციები - მათ შორის უცხოური და ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფები** - დადებითად შეიძლება შეფასდეს, ის ფაქტორი რომ ორგანიზაციები აქტიურად თანამშრომლობენ ადგილობრივ და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან. თუმცა, თანამშრომლობა ძირითადად ხდება პოლიტიკის დონეზე და არჩევნების დღეს, უბნებზე. ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები ერთმანეთის დაკვირვების მეთოდოლოგიას არ იცნობენ. ეს ერთი მხრივ, პრობლემურია, რადგან შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ ზოგიერთ უბანზე საერთოდ არ არის სანდო სადამკვირვებლო მისიების წარმომადგენლები მაშინ, როდესაც სხვა უბნებზე შესაძლოა ყველა ერთად აკვირდებოდეს პროცესს. ეს მიდგომა გარკვეულ უბნებს სანდო სადამკვირვებლო მისიების გარეშე ტოვებს არჩევნების დღეს. **გაღრმავებული თანამშრომლობა დაეხმარება ორგანიზაციებს შეამცირონ ერთმანეთის გადაფარვა და მათი მისიების მასშტაბები და ეფექტიანობა შეთანხმების ხარჯზე გაზარდონ.** დადებითი პრაქტიკაა სანდო სადამკვირვებლო ორგანიზაციების საარჩევნო პროცესის ერთობლივად შეფასების და რეკომენდაციების ადვოკატირებაც (მაგალითად, წინასაარჩევნო პერიოდის შეფასება).

ციტატა:

„ადგილობრივი სანდო სადამკვირვებლო ორგანიზაციები კარგი და სანდო პარტნიორები არიან რეკომენდაციების ადვოკატირებისას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის სახელისუფლებლო ორგანოებთან და საარჩევნო ადმინისტრაციასთან.“

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობებს. როგორც წესი, წინასაარჩევნო პერიოდში არაერთი წარმომადგენელი უკავშირდება ორგანიზაციებს სანდო ინფორმაციის მისაღებად. გარდა ამისა, მსგავსი ვითარებაა საარჩევნო უბნებზეც, როდესაც მობილური ჯგუფები

ადგილზე არსებულ ვითარებას სანდო ორგანიზაციების დამკვირვებლების მონათხრობის საფუძველზე ეცნობიან.

- **ამომრჩევლები - საზოგადოება -** ორგანიზაციები ამომრჩევლებისთვის, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე კენჭისყრის დღეს უზრუნველყოფენ ინფორმაციის დროულ მიწოდებას და არჩევნების პროცესის საჯაროობას. ამომრჩევლებს აქვთ საშუალება, დაუკავშირდნენ ორგანიზაციებს როგორც ცხელი ხაზით, ისე ცენტრალურ და რეგიონულ ოფისებში ვიზიტით და მიიღონ კონსულტაცია საარჩევნო საკითხებზე და თუკი საჭიროება არსებობს - სამართლებრივი დახმარებაც. კენჭისყრის პერიოდში, ორგანიზაციები სადამკვირვებლო მონიტორინგის შედეგებს საზოგადოებას ონლაინ და სატელევიზიო მედიის, ასევე სოციალური ქსელების გამოყენებით აცნობენ. ეს ერთი მხრივ ეხმარება ამომრჩეველს ინფორმირებული არჩევანის ჩამოყალიბების პროცესში, ხოლო მეორეს მხრივ - არჩევნებისა და შედეგების შესახებ სანდო ინფორმაციის მიღებაში.

მიგნება: ორგანიზაციებს არ წარმოუდგენიათ თვლადი და ობიექტური ინდიკატორები, რის საშუალებითაც ზომავენ ამომრჩევლებთან კომუნიკაციის ეფექტიანობას.

პირველ რიგში დადებითი ფაქტორია ის, რომ ყველა ორგანიზაცია აცნობიერებს ამომრჩეველთა როლს და მნიშვნელობას საარჩევნო პროცესის ფარგლებში, თუმცა, ვერ ახერხებენ მათი როგორც მხარდამჭერი და მნიშვნელოვანი რგოლის იდენფიტიცირებას საარჩევნო საკითხების/რეკომენდაციების ადვოკატირების ფარგლებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში იზრდება პრორუსული - ნაციონალისტური ჯგუფების მხარდამჭერთა რიცხვი, რაც რისკებს ქმნის, რომ მომავალი არჩევნებისთვის გაიზარდოს და კრიტიკული მასა გახდეს მხარდამჭერ ამომრჩეველთა რიცხვი მსგავსი ჯგუფებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია უფრო ეფექტიანი - ინტენსიური/პროაქტიული და სტრატეგიული კომუნიკაცია და კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება ორგანიზაციების მხრიდან ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლებისა და ღირებულებების/სტანდარტების გაზიარების კუთხით.

სადამკვირვებლო ორგანიზაციები და დაკვირვების მეთოდოლოგია

კვლევაში მონაწილე ორი ჯგუფის ორგანიზაციების გამოცდილებიდან გამომდინარე *(პირველი ჯგუფი მოიცავს წამყვან, დიდი ხნის საარჩევნო გამოცდილების მქონე ორგანიზაციებს, რომლებიც დაფუძნებიდან დღემდე აკვირდებიან საარჩევნო პროცესებს საქართველოსა და საერთაშორისო მისიებში და ევროპის საბჭოსთან დიდი ხნის თანამშრომლობის გამოცდილება აქვთ, ხოლო მეორე ჯგუფი წარმოადგენს ორგანიზაციებს, რომლებსაც არჩევნებზე დაკვირვების შედარებით მცირე გამოცდილება აქვთ, მაგრამ თავიანთი საქმიანობით გარკვეული დადებითი როლი შეაქვთ საარჩევნო/პოლიტიკური*

პროცესის გაუმჯობესების საქმეში), ამ თავში წარმოდგენილი თვითშეფასება და მიგნებები ორ ნაწილად არის წარმოდგენილი:

- **მრავალწიანი გამოცდილების მქონდე ორგანიზაციები (GYLA, ISFED, TI GEORGIA, PMMG);**
- **შედარებით მცირე გამოცდილების მქონე ორგანიზაციაები (EECMD, HRC).**

ორივე ტიპის ორგანიზაციების სადამკვირვებლო მისიის მეთოდოლოგია განხილულია რამდენიმე ინდიკატორით, კერძოდ:

- **რა არის სადამკვირებლო მისიის დადებითი მხარეები (ძლიერი მხარეები, ადამიანური რესურსი, ცოდნა/გამოცდილება, მატერიალური და არამატერიალური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები);**
- **რა არის სადამკვირებლო მისიის გამოწვევები (სუსტი მხარეები, ადამიანური რესურსი, ცოდნა/გამოცდილება, მატერიალური და არამატერიალური რესურსი, სადამკვირვებლო მისიის ტექნიკური შესაძლებლობები);**
- **საჭიროებები.**

ორგანიზაციების თვითშეფასება და მიგნებები:

- **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)**
  - **სადამკვირებლო მისიის დადებითი მხარეები (ძლიერი მხარეები, ადამიანური რესურსი, ცოდნა/გამოცდილება; მატერიალური და არამატერიალური რესურსი; ტექნიკური შესაძლებლობები)**

    მისიის ძლიერი მხარე: საია დაარსების დღიდან აკვირდება არჩევნებს, შესაბამისად, დაკვირვების მრავალწლიანი გამოცდილება და ცოდნა დაუგროვდა, რასაც ის მაქსიმალურად იყენებს სადამკვირვებლო მისიის/მეთოდოლოგიის ფორმირებისა და აქტივობების განხორციელებისას. საიას ჰყავს საარჩევნო გუნდი, რომელიც ორიენტირებულია საარჩევნო საკითხებზე. მართალია კადრების გადინება ხდება, თუმცა, ორგანიზაცია ცდილობს, ინსტიტუციური ცოდნა გადასცეს ახალ თანამშრომლებს. ორგანიზაციას აქვს დამკვირვებელთა ერთიანი ბაზა/ინფორმაცია. ორგანიზაცია არჩევნების მთლიან ციკლს აკვირდება - წინასაარჩევნო პერიოდიდან დაწყებული რეკომენდაციების შემუშავება/ადვოკატირებით დამთავრებული. მისი სადამკვირვებლო მისია ძირითადად იურისტებისგან არის დაკომპლექტებული, რაც უნიკალურობას ანიჭებს საარჩევნო დავების წარმოების პროცესში.

    საიას სადამკვირვებლო მისია რამდენიმე დონისგან შედგება. ინფორმაციას, საია, იღებს პირველ რიგში, მისი დამკვირვებლებისგან/გრძელვადიანი მონიტორებისგან. აგრეთვე, პოლიტიკური პარტიებისგან, მედიისა და ცხელ ხაზზე შემოსული ზარების საშუალებით. მიუხედავად ამისა, საია-ს ანგარიშში

ხვდება მხოლოდ ის შემთხვევები/დარღვევები/ტენდენციები, რომლებიც გადამოწმების ფილტრს გადის (საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით). ხოლო კენჭისყრის დღეს - საია-ს შესაბამისი დამკვირვებელის მიერ უშუალოდ დაფიქსირებული ფაქტი ან სხვის მიერ მოწოდებული გადამოწმებული და დადასტურებული ინფორმაცია.

ინფორმაციის მოსაგროვებლად და დასამუშავებლად საია იყენებს ერთიან ბაზას, სადაც თემატურად ხდება აღრიცხვა თუ რა დააფიქსირა უბანზე ან პერიმეტრზე დამკვირვებელმა. ამავე ბაზაში შედის საარჩევნო დავების შესახებ ინფორმაცია. მნიშვნელოვანია, რომ ბაზა მოიცავს ინფორმაციას არა მხოლოდ დარღვევების შესახებ, არამედ აღრიცხული ცუდი პრაქტიკის შესახებაც. ერთიან სისტემაში, ლაივ რეჟიმში, ინფორმაცია შემოდის ყველა რეგიონიდან და ითვლება სტატისტიკა. შემოსულ ინფორმაციას საიას ანალიტიკოსები ამუშავებენ და ამზადებენ გამოხმაურებას საარჩევნო პროცესების მიმდინარეობასთან დაკავშირებით. ორგანიზაციის ანალიტიკურ/კვლევით დოკუმენტებს დიდი სანდოობა აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველოს პარტნიორ ქვეყნებში. საია-ს მიგნებები ხშირად გამოიყენება საერთაშორისო დონეზე ადვოკატირებისას. გარდა ამისა, ისინი ხშირად ხვდება როგორც ასოცირების დღის წესრიგში, ასევე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშსა და ეუთოს დასკვნებში/ანგარიშებში.

სადამკვირვებლო საქმიანობის ძლიერი მხარეებია:

1. **ფინანსური შესაძლებლობები სრულფასოვანი მისიის განსახორციელებლად;**
2. **აქტიური მონიტორები ველზე (არჩევნების დღეს, წინასაარჩევნოდ რეგიონებში);**
3. **მჭიდრო კომუნიკაცია მოწყვლად ჯგუფებთან და ამომრჩევლებთან;**
4. **ძლიერი ანალიტიკური გუნდი;**
5. **საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნების ნდობა.**

მატერიალური და არამატერიალური რესურსი: ორგანიზაციის ოფისები და თანამშრომლები საქართველოს მასშტაბით აქვს/ჰყავს (ჯამში 9 ოფისი), რაც დადებითად უნდა შეფასდებს. ადგილზე წარმომადგენლობა მნიშვნელოვანია კონტექსტზე ინფორმაციისა და ლოგისტიკური საკითხების ხარისხის/დაუყოვნებლივი რეაგირების კუთხით. ამ ეტაპზე ორგანიზაციას არჩევნებზე მხოლოდ ერთი მიმდინარე პროექტი აქვს, რომელიც სრულად ვერ ფარავს პოლიტიკური პროცესების მონიტორინგს. ასევე, ამ ეტაპზე, საია-ს არ აქვს შესაბამისი ფინანსური რესურსები 2024 წლის არჩევნების დღეზე და წინასაარჩევნო პერიოდზე დასაკვირვებლად.

ტექნიკური შესაძლებლობები: ორგანიზაცია ინფორმაციის შეგროვების და დამუშავების კუთხით იყენებს ბაზას.

- **სადამკვირებლო მისიის გამოწვევები (მეთოდოლოგია, სუსტი მხარეები, ადამიანური რესურსი, ცოდნა/გამოცდილება; მატერიალური და არამატერიალური რესურსი; სადამკვირვებლო მისიის ტექნიკური შესაძლებლობები)**

სუსტი მხარეები: კანონმდებლობისა და პოლიტიკური პარტიების ქცევის მიხედვით, მნიშვნელოვანია, იცვლებოდეს სადამკვირვებლო მისიის მიზნები და მეთოდები. შესაბამისად, საია-ს სჭირდება გამოცდილება საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების მუშაობის მეთოდოლოგიის მიმართულებით, რომელიც ახალ კომპონენტებს შემოიტანს მისიაში და ცოდნის გაღრმავება მოხდება (მაგალითად, არჩევნების დღეს გენდერული მეინსტრიმინგის გეგმის შემუშავება, ე.წ. family voting შემთხვევების შესწავლა, ამომრჩევლის საჭიროებების შესწავლა და ამის საფუძველზე, არჩევნებზე სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების აქტივობის შეფასება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისეთი აქტუალური რეფორმების შესახებ ცოდნის მიღება, როგორიცაა ელექტრონული არჩევნები). ყველაზე ხშირად, გამოწვევად რჩება ადამიანური რესურსების მოძიება, ფინანსური მხარდაჭერის ნაკლებობა. გარდა ამისა, კონკრეტულ რეგიონებში დამკვირვებლების მოძიების პრობლემა. დაძაბულია არჩევნების დღის გარემოც და დიდია ადამიანური ფაქტორი დროში გაწელილი პროცესების კუთხით.

მატერიალური და არამატერიალური რესურსი: ორგანიზაციას ამ ეტაპზე, არ აქვს შესაბამისი ფინანსური რესურსები 2024 წლის არჩევნების დღეზე და წინასაარჩევნო პერიოდზე დასაკვირვებლად და მისიის დასაკომპლექტებლად.

მართალია ორგანიზაციას აქვს დამკვირვებელთა ერთიანი ბაზა (დამკვირვებლების შესახებ ინფორმაცია), თუმცა ყოველ არჩევნებზე განახლების და შევსების საჭიროება დგას. დამკვირვებლების მოძიების პრობლემას ორი რამდენიმე მიმართულება აქვს: 1. დაძაბული გარემო კონკრეტულ რეგიონებში, სადაც, როგორც წესი, ადამიანები უარს აცხადებენ არჩევნების დაკვირვებაზე; 2. ფინანსური რესურსის ნაკლებობა და არასაკმარისი ჰონორარი; 3. კვალიფიკაციისა და მოტივაციის ნაკლებობა აპლიკანტებს შორის; 4. მცირე დრო დამკვირვებლების შესარჩევად, რაც გამოწვეულია მისიის მასშტაბების დაუდგენლობით, ფინანსური გარანტიების დაგვიანების გამო. კადრების გადინების განსაკუთრებული პრობლემა საია-ს არა აქვს, თუმცა გამოწვევაა გამოცდილი დამკვირვებლების შენარჩუნება არჩევნებიდან არჩევნებამდე. კადრების გადინება მეტწილად იმით არის გამოწვეული, რომ არჩევნებს შორის შუალედი დიდია.

სადამკვირვებლო მისიის ტექნიკური შესაძლებლობები: საია-ს სადამკვირვებლო მისიის ტექნიკური შესაძლებლობები საკმაოდ მწირია. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციას არ აქვს დაგეგმარებისა და ლოგისტიკის პრობლემები, გამოწვევაა დამკვირვებლების რეკრუტირება მოკლე დროში, მათთან გასაუბრებების ჩატარება და უბნებზე განაწილების საკითხი. ტრენინგს ბოლო ორი წელია საია ონლაინ რეჟიმში ატარებს, თუმცა, ორგანიზაცია მიიჩნევს მნიშვნელოვანია, რომ პანდემიის დასრულებასთან ამ ასპექტმაც ჩვეულ ფორმატში გადაინაცვლოს, რადგან ონლაინ ჩატარებული ტრენინგები, ზოგიერთ შემთხვევაში, გავლენას ახდენს დამკვირვებლის მომზადების დონეზე. გამოწვევაა ისიც, რომ მსგავსი რაოდენობის დამკვირვებლების ტრენინგების ჩატარება დიდ ფინანსურ რესურსებთანაა დაკავშირებული. გარდა ამისა, ორგანიზაციას ესაჭიროება საარჩევნო ბაზის ტექნიკური გამართვა, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ინფორმაციის უკეთ აღრიცხვას და მეორე მხრივ, ადვილი იქნება გამოსაყენებლად არჩევნების დღეს. ანალიტიკური ბაზა, რომელიც ჰქონდა ორგანიზაციას და გამოიყენებოდა საარჩევნო ციკლის პერიოდში, კადრების ცვლილებასთან ერთად აღარ ხდება მისი ადმინისტრირება, პროგრამის სირთულის/მისი ადმინისტრირების ცოდნის არქონის გამო.

- **საჭიროებები:**
    1. **სადამკვირვებლო მეთოდოლოგიის განახლება გამოწვევების შესაბამისად** - საია მუდმივად მუშაობას სადამკვირვებლო მისიის გაუმჯობესებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროინდელი არჩევნების გამოწვევებს მეთოდოლოგიამ სათანადოდ უპასუხა, მუდმივად იცვლება საკანონმდებლო ჩარჩო და პარტიების ქცევა. მაგალითად, უბნების პერიმეტრზე ამომრჩევლის ნების კონტროლის გახშირებულმა ფაქტებმა საია აიძულა დაემატებინა უბნის გარეთ დამკვირვებლები და მოეპოვებინა მტკიცებულებები. ელექტრონული არჩევნების პირობებში, სრულად განსხვავებული უნდა იყოს სადამკვირვებლო მისიის სტრატეგია და განსხვავებული ცოდნის/უნარების გამომუშავება მოუწევთ დამკვირვებლებს. საია-ს ზოგადი მეთოდოლოგია ითვალისწინებს სოციოლოგიური მნიშვნელობის მქონე რაოდენობის უბნების დაკვირვებას, მნიშვნელოვანი დავების წარმოებას ოლქებსა და სასამართლოებში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი უბნების დაკვირვებას, სადაც დასახლებულნი არიან მოწყვლადი ჯგუფები, მაგალითად, ეთნიკური უმცირესობები, დევნილები, ეკომიგრანტები და სხვა.
    2. **საარჩევნო გუნდის ცოდნის გაღრმავება** - გენდერული მეინსტრიმინგი, ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში, ამომრჩევლის საჭიროებების შესწავლა, პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების ანალიზი, არჩევნების დღეს დამატებითი ინფორმაციის მოძიება family voting

შემთხვევებზე, ამომრჩევლის აქტივობაზე დაკვირვება და კონკრეტულ ჯგუფებში არგამოცხადების მიზეზების შესწავლა. დამატებით, საია-ს სურს მეტად იმუშავოს დეზინფორმაციის საკითხებზე და განახორციელოს მედია მონიტორინგი.

3. **მატერიალური და ტექნიკური მხარდაჭერა, ორგანიზაციის შესაძლებლობების განვითარება**, მათ შორის, ტრენინგის მოდულის შემუშავების ნაწილში, რომელიც უფრო გაამარტივებს დამკვირვებლების გადამზადებას. ტექნიკური მხარდაჭერა შეიძლება გამოიხატოს ორგანიზაციის შიდა რესურსების გაძლიერებაში, მათ შორის, ბაზის გამართვასა და სხვა საჭირო ნიადაგის მომზადებაში არჩევნების დღემდე. მნიშვნელოვანი კონტრიბუცია იქნება საერთაშორისო ექსპერტების მოძიება. მათთან შეხვედრები და გამოცდილების გაზიარება დაეხმარება ორგანიზაციას დახვეწოს სადამკვირვებლო მისიის მეთოდოლოგია და მეტად მოარგოს ის საერთაშორისო სტანდარტებს ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, დაამატოს ის ასპექტები, რომლებიც ერთი შეხედვით არჩევნების შედეგებზე გავლენას ვერ ახდენს, თუმცა სრული სურათის დასანახად მნიშვნელოვანია.

   ფინანსური მხარდაჭერა გამოიხატება სადამკვირვებლო მისიის დაფინანსებაში გრძელვადიანი პროექტების განხორციელებისთვის.

- **სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)**

  - **მისიის დადებითი მხარეები (ძლიერი მხარეები, ადამიანური რესურსი, ცოდნა/გამოცდილება; მატერიალური და არამატერიალური რესურსი; ტექნიკური შესაძლებლობები)**

    მისიის ძლიერი მხარე: სამართლიანი არჩევნები არჩევნებზე დაკვირვებას დაარსების დღიდან ახორციელებს და მისი დაკვირვების მეთოდოლოგია მოიცავს წინასაარჩევნო, ასევე კენჭისყრის დღესა და შემდგომ პერიოდზე დაკვირვებას და მისი მიზანია: სამართლიანი და თავისუფალი საარჩევნო გარემოს დაცვის ხელშეწყობა, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დაცვა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, პარალელური ხმის დათვლისა (PVT) და ინციდენტების მონიტორინგის გზით. ორგანიზაციამ რამდენიმე წლის წინ დანერგა სოციალური ქსელების მონიტორინგის მეთოდოლოგია, რაც დღევანდელი გადმოსახედიდან მნიშვნელოვანი სადამკვირვებლო მისიის მნიშნვნელოვანი კომპონენტია.

სამართლიანი არჩევნები დაკვირვებას სამივე დონის საარჩევნო ადმინისტრაციაში ახორციელებს ორგანიზაციის 1000 დამკვირვებლის საშუალებით. დაკვირვების მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, კენჭისყრის დღეს უბნების გამოვლენა შემთხვევითობის პრინციპით ხდება. ორგანიზაციაში განთავსებულია ინციდენტების ცენტრი, რომელიც კონსულტაციებს უწევს დამკვირვებლებს საარჩევნო დავების წარმოების მიზნით.

ორგანიზაცია ახორციელებს მაღალი ხარისხის კვლევით და ანალიტიკურ საქმიანობას კვალიფიციური კადრების ჩართულობით. მისი გუნდი ხშირად არის ჩართული საერთაშორისო მისიებში. კერძოდ კი ის არის ENEMO-ს წევრი.

მატერიალური და არამატერიალური რესურსი: ორგანიზაციას ჰყავს კვალიფიციური საარჩევნო გუნდი და აქვს დამკვირვებელთა ბაზა, რომელსაც ყოველ არჩევნებზე აახლებს. ორგანიზაციის აზრით, დამკვირვებელთა გადინება ბუნებრივი პროცესია. ორგანიზაციას თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში ჰყავს წარმომადგენლები, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. ადგილზე წარმომადგენლობა მნიშვნელოვანია კონტექსტზე ინფორმაციისა და ლოჯისტიკური საკითხების ხარისხის/დაუყოვნებლივი რეაგირების კუთხით.

სამართლიან არჩევნებს აქვს შესაბამისი ფინანსური რესურსები 2024 წლის არჩევნების დღეზე და წინასაარჩევნო პერიოდზე დასაკვირვებლად.

ტექნიკური შესაძლებლობები: ორგანიზაციის ტექნიკური შესაძლებლობები მორგებულია არსებულ მეთოდოლოგიას.

- **მისიის გამოწვევები (მეთოდოლოგია, სუსტი მხარეები, ადამიანური რესურსი, ცოდნა/გამოცდილება; მატერიალური და არამატერიალური რესურსი; სადამკვირვებლო მისიის ტექნიკური შესაძლებლობები)**

სუსტი მხარეები: ორგანიზაცია მიიჩნევს რომ აუცილებელია გადაიხედოს საარჩევნო პროცესის მონიტორინგის მეთოდოლოგია და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს იმის გათვალისწინებით, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები სულ უფრო და უფრო იზრდება და დახვეწილი ხდება. ასევე, შესაძლებელია გადაიხედოს და კიდევ უფრო დაიხვეწოს უშუალოდ არჩევნების დღის მონიტორინგის მეთოდოლოგია. განსაკუთრებით, ამის საჭიროება გამოჩნდა ბოლოს არჩევნების მაგალითზე.

მატერიალური და არამატერიალური რესურსი: მიუხედავად იმისა, რომ დაფინანსება აქვთ, დონორების მხარდაჭერა ფარავს ორგანიზაციის საარჩევნო საქმიანობის მხოლოდ ძირითადად საქმიანობებს და არ არის საკმარისი იმისთვის, რომ უფრო სიღრმისეული ღონისძიებები განახორციელოს - როგორიც არის, მაგალითად, რაოდენობითი სახის კვლევების ჩატარება. ასევე,

ორგანიზაციას არ ააქვს დაფინანსება სამოქალაქო განათლების პროექტების განხორციელებისთვის. ორგანიზაციას ასევე არა აქვს დაფინანსება, რომ განახორციელოს სიღრმისეული კვლევები წინასაარჩევნო პერიოდში სახელმწიფო და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესახებ.

სადამკვირვებლო მისიის ტექნიკური შესაძლებლობები: განახლებული მეთოდოლოგიის მიხედვით ტექნიკური შესაძლებლობების დახვეწა.

- **საჭიროებები:**
    1. **სადამკვირვებლო მეთოდოლოგიის შემუშავება გამოწვევების შესაბამისად** - ორგანიზაციის პროფილისა და საარჩევნო პროცესში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, სადამკვირვებლო მეთოდოლოგიის განახლება;
    2. **საარჩევნო გუნდის ცოდნის გაღრმავება და ტექნიკური აღჭურვის შემდგომ უნარ-ჩვევების შემუშავება** - განახლებული მეთოდოლოგიის მიხედვით ცოდნის გაღრმავება;
    3. **მატერიალური და ტექნიკური მხარდაჭერა, ორგანიზაციის შესაძლებლობების განვითარება** - ფინანსური მხარდაჭერა, ახალ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული ტექნიკური მხარდაჭერა (ბაზები, შესაბამისი პროგრამები კომუნიკაციისა და ინფორმაციის მიღება/დამუშავებისათვის).

- **საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (TI GEORGIA)**

    - **მისიის დადებითი მხარეები (ძლიერი მხარეები, ადამიანური რესურსი, ცოდნა/გამოცდილება; მატერიალური და არამატერიალური რესურსი; ტექნიკური შესაძლებლობები)**

მისიის ძლიერი მხარე: ორგანიზაციის სადამკვირვებლო საქმიანობა ასევე მოიცავს მთლიან საარჩევნო ციკლზე დაკვირვებას და მისი მიზანია პოლიტიკური კორუფციის კვლევა. მიზნის მიღწევისთვის ორგანიზაცია ახორციელებს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების და ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენების მონიტორინგს. კენჭისყრის დღეზე დაკვირვებას ორგანიზაცია მობილური ჯგუფებისა და საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების დამკვირვებლების სახით ახორციელებს.

ორგანიზაცია ახორციელებს მაღალი ხარისხის კვლევით და ანალიტიკურ საქმიანობას კვალიფიციური კადრების ჩართულობით. არჩევნების დაკვირვების დიდი გამოცდილება აქვთ, თუმცა ყველა არჩევნებზე ორგანიზაცია რაღაც ახალს სწავლობს.

მატერიალური და არამატერიალური რესურსი: ორგანიზაციას ჰყავს კვალიფიციური საარჩევნო გუნდი, აქვს დამკვირვებელთა ბაზა, რომელსაც ყოველ არჩევნებზე აახლებს (დამკვირვებელთა გადინება ბუნებრივი პროცესია). მეთოდოლოგიის მიხედვით შემუშავებული აქვს ტრენინგის მოდული.

ტექნიკური შესაძლებლობები: ორგანიზაციის ტექნიკური შესაძლებლობები მორგებულია არსებულ მეთოდოლოგიას.

- **მისიის გამოწვევები (მეთოდოლოგია, სუსტი მხარეები, ადამიანური რესურსი, ცოდნა/გამოცდილება; მატერიალური და არამატერიალური რესურსი; სადამკვირვებლო მისიის ტექნიკური შესაძლებლობები)**

სუსტი მხარეები: მეთოდოლოგიის დახვეწისა და ანალიტიკური პროდუქტების განვითარების საჭიროება და არსებულ გამოწვევებზე მორგება - მაგალითად, სოციალურ მედიაში პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგის მეთოდოლოგიასთან, ფორმებთან და ტექნოლოგიებთან დაკავშირებით).

მატერიალური და არამატერიალური რესურსი: მიუხედავად იმისა, რომ დაფინანსება აქვთ, ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების მხარდაჭერა უფრო სიღრმისეული ღონისძიებების განხორციელებისთვის, ისეთი როგორიცაა მაგალითად რაოდენობითი სახის კვლევების ჩატარება. ასევე, ორგანიზაცის ესაჭიროება გარანტირებული დაფინანსება არჩევნების დღის მონიტორინგისთვის. მაგალითად, გრძელვადიანი მონიტორინგისთვის ორგანიზაცია დაფინანსებას იღებს USAID-დან, თუმცა ხშირად ააქვთ პრობლემა არჩევნების დღის დაფინანსების მოპოვებასთან დაკავშირებით და ყველა არჩევნების დროს უწევთ ძალისხმევა რომ დაფინანსება მოიპოვონ.

სადამკვირვებლო მისიის ტექნიკური შესაძლებლობები: განახლებული მეთოდოლოგიის მიხედვით ტექნიკური შესაძლებლობების დახვეწა.

- **საჭიროებები:**
    1. **სადამკვირვებლო მეთოდოლოგიის შემუშავება გამოწვევების შესაბამისად** - ორგანიზაციის პროფილისა და საარჩევნო პროცესში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით - სოციალურ მედიაში პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგის მეთოდოლოგიასთან, ფორმებთან/ტექნოლოგიებთან დაკავშირებით), სადამკვირვებლო მეთოდოლოგიის შემუშავება;
    2. **საარჩევნო გუნდის ცოდნის გაღრმავება და ტექნიკური აღჭურვის შემდგომ უნარ-ჩვევების შემუშავება** - განახლებული მეთოდოლოგიის

მიხედვით გუნდის/დამკვირვებლების ცოდნის გაღრმავება, ანალიტიკური უნარების გაძლიერება;

3. **მატერიალური და ტექნიკური მხარდაჭერა, ორგანიზაციის შესაძლებლობების განვითარება** - ფინანსური მხარდაჭერა, ახალ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული ტექნოლოგიური, ანალიტიკური, საარჩევნო რეფორმის ფარგლებში მხარდაჭერა (ტრენინგები, ბაზები, შესაბამისი პროგრამები კომუნიკაციისა და ინფორმაციის მიღება/დამუშავებისათვის).

- **საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო (PMMG)**

  - **მისიის დადებითი მხარეები (ძლიერი მხარეები, ადამიანური რესურსი, ცოდნა/გამოცდილება; მატერიალური და არამატერიალური რესურსი; ტექნიკური შესაძლებლობები)**

    მისიის ძლიერი მხარე: ,,მრავალეროვანი საქართველო“ 2003 წლიდან ახორციელებს არჩევნების მონიტორინგს, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ არეალში, რომელიც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. მრავალწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, ორგანიზაცია კარგად იცნობს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ოლქებში არსებულ პოლიტიკურ გარემოს, ამომრჩეველთა ქცევას და განწყობებს საარჩევნო პროცესების მიმართ. ეს მათ ეხმარებათ სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში ხელი შეუწყონ არჩევნების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას. დაკვირვების მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, ორგანიზაცია როგორც გრძელვადიანი ასევე მოკლევადიანი დამკვირვებლების შერჩევის დროს, პრიორიტეტს ანიჭებს, ადგილობრივ კადრებს, რომლებიც უკეთ იცნობენ რეგიონს, გარემოს და კონტექსტს. ორგანიზაციას აქვს კარგი საკადრო პოლიტიკა, შესაბამისად ამ მხრივ პრობლემები არ არსებობს, მეტიც ის კადრები, რომლებთანაც წლებია ორგანიზაცია თანამშრომლობს არჩევნების მოინტორინგის პროგრამის ფარგლებში, მუდმივად მზად არიან სადამკვირვებლო მისიის მხარდაჭერისთვის.

    ორგანიზაცია, პრაქტიკისა და საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, ყოველთვის ახდენს მეთოდოლოგიის დახვეწას და ამუშავებს დაკვირვების სტრატეგიას.

    წინასაარჩევნო პერიოდში, საარჩევნო მონიტორინგის განხორციელების მიზნით, ორგანიზაციის გრძელვადიანი დამკვირვებლები ინფორმაციას საარჩევნო აქტივობებისა და სავარაუდო დარღვევების შესახებ სხვადასხვა საშუალებებიდან იღებენ (მედია (ტელევიზია, რადიო, ონლაინ მედია); საჯარო

ინფორმაციის გამოთხოვის გზით; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მათი ვებ-გვერდები; სოციალური ქსელები; პარტიები, კანდიდატები, პარტიის აქტივისტები; არასამთავრობო ორგანიზაციები; მოქალაქეები; საჯარო შეხვედრები, საარჩევნო კამპანია/აგიტაციის ღონისძიებები).

წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის მიზნით, გრძელვადიანი დამკვირვებლები აკვირდებიან და სწავლობენ:

1. პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების პოლიტიკურ და საარჩევნო აქტივობებს;
2. სიძულვილის ენის გამოყენებას წინასაარჩევნო კამპანიაში;
3. პოლიტიკური/საარჩევნო აქტივობების ხელშეშლას;
4. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას;
5. ზეწოლა/დაშინება/მუქარისა და ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტებს;
6. ამომრჩევლის მოსყიდვას და პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წესების დარღვევებს;
7. განცხადებებს და საჩივრებს;
8. საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობას;
9. ამომრჩეველთა განათლების საკითხებს, მათ შორის, უმცირესობების ინფორმირებულობას;
10. პანდემიიდან გამოწვეულ დაბრკოლებებს პოლიტიკური/საარჩევნო აქტივობების განხორციელებისა და არჩევნების მომზადება/ ჩატარებაში.

გრძელვადიანი დამკვირვებლებისა და იურისტების მეშვეობით ხდება, მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციებისა და საარჩევნო დარღვევების მრავალმხრივი გადამოწმება.

რაც შეეხება არჩევნების დღეს, უბნის გახსნის, კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცესის შესახებ, მოკლევადიანი დამკვირვებლები, ელექტრონული საკომუნიკაციო პროგრამის მეშვეობით, საკოორდინაციო ცენტრს პერიოდულადაწვდიან ინფორმაციას, ხოლო დარღვევებისა და ინციდენტების შესახებ უკავშირდებიან ინცინდენტების ცენტრს. ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სტრატეგიის მიხედვით, საარჩევნო უბანზე დარღვევის აღმოჩენისთანავე, დამკვირვებელი, პირველ ეტაპზე, ზეპირ მითითებას აძლევს საარჩევნო კომისიას, რომ დროულად მოხდეს დარღვევის აღმოფხვრა. ინციდენტების ცენტრის ოპერატორები მუშაობენ საგანგებო რეჟიმში. ოპერატორები მოკლევადიანი დამკვირვებლებისაგან იღებდნენ და ამუშავებდნენ ინფორმაციას საარჩევნო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. სამართლებრივ მხარდაჭერას ახორციელებენ პროგრამის იურისტები. საკოორდინაციო ცენტრში თავმოყრილი ინფორმაცია პერიოდულად ვრცელდება ქართულ და ინგლისურ ენებზე. გარდა აღნიშნულისა,

„მრავალეროვანი საქართველოს“ საკოორდინაციო ცენტრში მოქმედებს ცხელი ხაზი, რომლითაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია ისარგებლოს და საკოორდინაციო ცენტრს გაუზიაროს ინფორმაცია მის ხელთ არსებული საარჩევნო დაღვევის/ინციდენტის შესახებ.

ორგანიზაცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტით. შესაბამისად, ორგანიზაცია მაქსიმალურად ცდილობს შექმნას ხარისხიანი, ობიექტური და მიუკერძოებელი კვლევითი და ანალიტიკური პროდუქტი- რასაც ადასტურებს, დაინტერესებული მხარეების დადებითი უკუკავშირი.

მატერიალური და არამატერიალური რესურსი: ორგანიზაციას ჰყავს საარჩევნო გუნდი, რომელიც ასევე ჩართულია სხვა პროექტების ღონისძიებების განხორციელებაში. ამ ეტაპზე, ორგანიზაციას არ აქვს შესაბამისი ფინანსური რესურსები 2024 წლის არჩევნების დღეზე და წინასაარჩევნო პერიოდზე დასაკვირვებლად. PMMG-ს მიდგომა მოიცავს სამ დონიანი პროგრამის რეალიზების შესაძლებლობას:

1. პროგრამა-მინიმუმი, რაც გულისხმობს შეზღუდული რაოდენობის დამკვირვებელთა მივლინებას ცალკეულ უბნებზე (ეთნიკური უმცირესობების ამომრჩეველთა მაღალი კონცენტრაციის მქონე რთული ან/და მსხვილი უბნები);
2. პროგრამა-მედიუმი (300-400 დამკვირვებელი), რომელიც ორგანიზაციის მიერ იდენტიფიცირიბული რთული/მსხვილი/დაშორებული უბნების დიდი ნაწილის დაფარვის საშუალებას იძლევა;
3. პროგრამა-მაქსიმუმი (600-მდე დამკვირვებელი), რაც გარდა ზემოაღნიშნულისა, ასევე პრიორიტეტული მუნიციპალიტეტების სრულ დაფარვას მოიაზრებს.

ვინაიდან დამკვირვებლების ყოფნა გარდა რეაქტიული ეფექტისა, ასევე შესაძლო დარღვევების თავიდან აცილების პრევენციულ ხასიათს ატარებს საარჩევნო ფანდრაიზინგის სტრატეგია ორიენტირებულია პროგრამა-მაქსიმუმზე, რაც დონორების მნიშვნელოვან მხარდაჭერას საჭიროებს. აღსანიშნავია ისიც, რომ სამივე დონის პროგრამა აწყობილია იმგვარად რომ პროგრამა-მაქსიმუმისთვის საკმარისი ფინანსური რესურსის არარსებობისას ინარჩუნებს რომელიმე სხვა დონის პროგრამის დამოუკიდებლად განხორციელების საშუალებას.

ტექნიკური შესაძლებლობები: ორგანიზაცია მუდმივად ცდილობს სადამკვირვებლო მისიის ტექნიკური შესაძლებლობების მაქსიმალიზებას, რაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მრავალწლიანი გამოცდილება და ამ პერიოდის მანძილზე თავმოყრილი ადამიანური რესურსი ტრენერების,

იურისტებისა და საკოორდინაციო ჯგუფის სახით. შესაბამისად, ორგანიზაცია დროულად და ეფექტურად ახერხებს სადამკვირვებლო მისიის ტექნიკურ უზრუნველყოფას.

ორგანიზაციას აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო არხი, რომლითაც სადამკვირვებლო მისიის დროს (კენჭისყრის დღეს) ხდება ინფორმაციის სწრაფ რეჟიმში მიღება.

- **მისიის გამოწვევები (მეთოდოლოგია, სუსტი მხარეები, ადამიანური რესურსი, ცოდნა/გამოცდილება; მატერიალური და არამატერიალური რესურსი; სადამკვირვებლო მისიის ტექნიკური შესაძლებლობები)**

  სუსტი მხარეები: მუნიციპალიტეტებში/საარჩევნო ოლქებში პრობლემურია საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური დამკვირვებლების რეკრუტირება, რომლებიც სრულყოფილად ფლობენ ქართულ ენას. აუცილებელია მეთოდოლოგიის დახვეწა და არსებულ გამოწვევებზე მორგება (მაგ: სოც.ქსელების მონიტორგი).

  მატერიალური და არამატერიალური რესურსი: ბოლო ხუთ საარჩევნო ციკლის განმავლობაშიპროგრამა-მაქსიმუმის რეალიზება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ერთხელ, რაც თავისთავად მეტყველებს ფინანსური სახსრების უკმარისობაზე.

  სადამკვირვებლო მისიის ტექნიკური შესაძლებლობები: გრძელვადიანი დაკვირვებისთვის ანალიტიკური ბაზის შექმნა, რომლის მეშვეობითაც იურისტები და ანალიტიკოსები გრძელვადიანი მონიტორებისგან სწრაფად და სრულყოფილად მიიღებენ და დაამუშავებენ ინფორმაციას.

- **საჭიროებები:**
  1. **სადამკვირვებლო მეთოდოლოგიის განახლება გამოწვევების შესაბამისად**-ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშველოვანი გავლენა მოახდინა ყველა სფეროზე. უკანასკნელ წლებში, წინასაარჩევნო კამპანიის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ სოციალური ქსელების მეშვეობით ხორციელდებოდა. სწორედ სოციალური ქსელების მეშვეობით არის შესაძლებელი მონიტორინგის ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტების იდენტიფიკაცია, როგორიც არის წინასაარჩევნო კამპანიაში ადმინისტრაციული რესურსისა და სიძულვილის ენის გამოყენება;
  2. **საარჩევნო გუნდის ცოდნის გაღრმავება და ტექნიკური აღჭურვა**- ბაზის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა და საარჩევნო გუნდისთვის ცოდნის მიცემა პროგრამების გამოყენების კუთხით;
  3. **მატერიალური და ტექნიკური მხარდაჭერა, ორგანიზაციის capacity building-ი** - მნიშვნელოვანია, რომ მთელი საქართველოს მაშტაბით

არსებული ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული ოლქები ორგანიზაციამ დაკვირვების დროს დაფაროს. ასევე, ორგანიზაცია მიიჩნევს რომ მნიშვნელოვანია შემდეგ წლებში მონიტორინგის გარდა განახორციელოს ისეთი პროექტები, რომელიც უზრუნველყოფს ეთნიკურ უმცირესობათა საარჩევნო და პოლიტიკურ საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას, რაც ხელს შეუწყობს მათ გააზრებულ ჩართულობას საარჩევნო პროცესებში და მათ ინტეგრაციას.

- **აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (EECMD)**

  - **მისიის დადებითი მხარეები (ძლიერი მხარეები, ადამიანური რესურსი, ცოდნა/გამოცდილება; მატერიალური და არამატერიალური რესურსი; ტექნიკური შესაძლებლობები)**

    მისიის ძლიერი მხარე: ორგანიზაცია ახორციელებს მაღალი ხარისხის კვლევით და ანალიტიკურ საქმიანობას კვალიფიციური კადრებისა და დარგის ექსპერტების ჩართულობით.

    ორგანიზაციის არც თუ ისე დიდი სადამკვირვებლო საქმიანობის გამოცდილებით რთულია მათი მისიის ძლიერ მხარეზე საუბარი. თუმცა, ზოგადად, სადამკვირვებლო საქმიანობის წარმატების მთავარი ფორმულა არის მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და პროცესების ობიექტური ანალიზი. ასევე, პროგრამული თვალსაზრისით, EECMD-ის საქმიანობა მიმართულია გააძლიეროს შიდა პარტიული დემოკრატია და გამჭვირვალობა, მხარი დაუჭიროს დემოკრატიის სკოლებს თელავში, გორში, ქუთაისსა და ბათუმში, ფასილიტაცია გაუწიოს პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე დიალოგს და პოლიტიკურ პარტიებს გააცნოს ახალი ტექნოლოგიური მიდგომები და ინსტრუმენტები, რათა პარტიებმა შეძლონ უკეთესად ფუნქციონირება. გამოცდილება/ქსელური კონტაქტები შესაძლებლობას აძლევს, მოახდინოს უკეთესი ანალიზი და პოლიტიკური სისტემის, პოლიტიკური აქტორებისა და პოლიტიკური კულტურის განვითარების უკეთესი პროგრამების შექმნა.

    მატერიალური და არამატერიალური რესურსი: EECMD-ის მოხალისე დამკვირვებლებს არჩევნების წინ ჩაუტარდათ ერთ დღიანი ტრენინგი კენჭისყრის დღის პროცედურების შესახებ. ვინაიდან ეს იყო პირველი გამოცდილება, ორგანიზაციას კონკრეტული მეთოდოლოგიით არ უხელმძღვანელია, თუმცა, მისი დაკვირვების ძირითადი პრინციპები თანხვედრაში იყო ეუთო/ოდირის არჩევნების დაკვირვების მეთოდოლოგიასა

და პრინციპებთან. დამკვირვებლების რეკრუტირება არ მომხდარა, EECMD-იმ დამკვირვებლები დემოკრატიის სკოლების ქსელიდან მოიძია.

ტექნიკური შესაძლებლობები: დამკვირვებლები კენჭისყრის დღეს დააკვირდნენ თავიანთ ქალაქებში და შესაბამისად გადაადგილება/განთავსების საჭიროება არ დამდგარა.

- **მისიის გამოწვევები (მეთოდოლოგია, სუსტი მხარეები, ადამიანური რესურსი, ცოდნა/გამოცდილება; მატერიალური და არამატერიალური რესურსი; სადამკვირვებლო მისიის ტექნიკური შესაძლებლობები)**

სუსტი მხარეები: ორგანიზაციისთვის ძირითადი გამოწვევაა მეთოდოლოგია. ორგანიზაციისთვის ღირებულია საარჩევნო პროცესების უფრო სიღრმისეული დაკვირვება უშუალო არჩევნების დღეს და იმ ნაკლოვანებების აღმოჩენა, რომლებიც ხშირად არ ჩანს მათთვის, ვინც უშუალოდ არ იცნობს ხმის დათვლისა და მასზე დაკვირვების პროცესს. არჩევნებზე რამდენიმეჯერ დაკვირვებამ ასევე გააჩინა შესაძლებლობა, რომ უკეთ დაინახონ ის ნიუანსები და წინაპირობები, რომლებიც არსებობს პოლიტიკური პარტიების განვითარების მხრივ. შესაბამისად, კარგად დაინახეს, რომ არსებული მეთოდოლოგია ვერ პასუხობს გამოწვევებს. სამომავლოდ, მათთვის საინტერესოა საარჩევნო პროცესების ისეთი კომპონენტების აღმოჩენა და დაკვირვება, რომლებიც მნიშვნელოვანია არჩევნების ხარისხისათვის, მაგრამ ნაკლები ყურადღება ექცევა.

მატერიალური და არამატერიალური რესურსი: ორგანიზაცია, სამოქალაქო სექტორის სხვა წარმომადგენლების მსგავსად, მუდმივად დგას ფინანსური საჭიროებების წინაშე. EECMD სრულად არის დამოკიდებული დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერაზე და პროექტებით დაგეგმილ აქტივობებზე. შესაბამისად, რამდენიმე განსხვავებული დონორის მოკლევადიან თუ გრძელვადიანი პროექტების განხორციელებით უწევს ხოლმე სრული საჭიროებების დაფარვა/თანადაფინანსება.

სადამკვირვებლო მისიის ტექნიკური შესაძლებლობები: ორგანიზაციას გააჩნდა მცირე ტექნიკური შესაძლებლობები სადამკვირვებლო საქმიანობის განსახორციელებლად.

- **საჭიროებები**
    1. **სადამკვირვებლო მეთოდოლოგიის შემუშავება გამოწვევების შესაბამისად** - ორგანიზაციის პროფილისა და საარჩევნო პროცესში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, სადამკვირვებლო მეთოდოლოგიის შემუშავება;

2. **საარჩევნო გუნდის ცოდნის გაღრმავება და ტექნიკური აღჭურვის შემდგომ უნარ-ჩვევების შემუშავება** - გუნდის და დამკვირვებლების შინაარსობრივი გაძლიერება, დამკვირვებლების რეკრუტირება და მისიის ტექნიკური აღჭურვის შემდგომ ცოდნის გაღრმავება (ბაზისა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის ადაპტაცია პრაქტიკაში);
3. **მატერიალური და ტექნიკური მხარდაჭერა, ორგანიზაციის შესაძლებლობების განვითარების** ფინანსური მხარდაჭერა, ახალ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული ტექნოლოგიური მხარდაჭერა (ბაზები, შესაბამისი პროგრამები კომუნიკაციისა და ინფორმაციის მიღება/დამუშავებისათვის).

- **ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)**

  - **მისიის დადებითი მხარეები (ძლიერი მხარეები, ადამიანური რესურსი, ცოდნა/გამოცდილება; მატერიალური და არამატერიალური რესურსი; ტექნიკური შესაძლებლობები)**

    მისიის ძლიერი მხარე: ადამიანის უფლებათა ცენტრი სიღრმისეულად და კომპლექსურად აანალიზებს როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი საარჩევნო მონიტორინგის შედეგებს. ამ მხრივ ორგანიზაცია ახორციელებს დაკვირვებას კონფლიქტის პირა ოლქებსა და ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში. ცალკეული დარღვევებისა და მათზე განხორციელებული სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიების გარდა ადამიანის უფლებათა ცენტრის ანალიტიკოსები აანალიზებენ საარჩევნო პროცესების მარეგულირებელ ზოგად საკანონმდებლო ჩარჩოს. ორგანიზაცია აანალიზებს საარჩევნო სისტემასა და კანონმდებლობაში სხვადასხვა დროს შესულ რელევანტურ ცვლილებებს, რაც შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ პირებს, უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნათ წინასაარჩევნო პერიოდისა და მის შემდგომ განვითარებული მოვლენების შესახებ. ასევე, კვალიფიციური - ორგანიზაციის დამკვირვებლები და საარჩევნო გუნდი- ობიექტური მიდგომა და დასახული ამოცანა - ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიამ მიუკერძოებლად ასახოს არჩევნებთან დაკავშირებული მოვლენები.

    მატერიალური და არამატერიალური რესურსი: ორგანიზაციაში პროექტები იგეგმება იმგვარად, რომ მათი განხორციელებისას არ წარმოიქმნას ფინანსური პრობლემები თუმცა, უფრო მაღალბიუჯეტიანი პროექტების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა მეტი აქტივობების განხორციელება. როგორც გრძელვადიან, ასევე მოკლევადიან დამკვირვებლებს უტარდებათ ტრენინგები დაკვირვების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით საარჩევნო საკითხებზე მომუშავე გამოცდილი ექსპერტების მიერ. ადამიანის უფლებათა ცენტრი ბოლო

წლებში ამ კუთხით თანამშრომლობდა „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ წარმომადგენლებთან.

ვინაიდან საერთაშორისო ორგანიზაციების/დონორების მიერ მხარდაჭერილი პროექტები მცირებიუჯეტიანია და დამკვირვებელთა მასშტაბური მობილიზება ვერ ხერხდება (მატერიალური და არამატერიალური რესურსი მწირია), ამიტომ ორგანიზაციას არჩეული აქვს სტრატეგია - დააკვირდეს პოტენციურად ყველაზე პრობლემურ საარჩევნო უბნებს. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ცენტრის სადამკვირვებლო მისია მოიცავს: 1) ეთნიკური უმცირესობების დასახლებულ სოფლებს (ქვემო ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი); 2) კონფლიქტისპირა სოფლებს (შიდა ქართლი, სამეგრელო) და სხვადასხვა სპეციფიურ საარჩევნო უბნებს (აჭარა, იმერეთი).

კვალიფიციური ტრენერები საარჩევნო პროექტების ხელმძღვანელებს, რეგიონულ კოორდინატორებს და მონიტორებს მონიტორინგის პროცესისთვის ამზადებენ. ორგანიზაცია ცდილობს, სადამკვირვებლო მისიაში მონიტორებად მოიწვიოს გამოცდილი კადრები, განსაკუთრებით - ის მონიტორები, რომლებიც წინა არჩევნების მონიტორინგში მონაწილეობდნენ და წარმატებით გაართვეს თავი დაკისრებულ სამუშაოს. ასევე, სხვადასხვა რეგიონში განაწილებულ დამკვირვებელთა ჯგუფებს ხელმძღვანელობენ კოორდინატორები - ორგანიზაციის იურისტები, რომლებსაც აქვთ საარჩევნო ადმინისტრაციისთვის საჩივრების მომზადება/წარდგენის და საარჩევნო დავების წარმოების დიდი გამოცდილება.

ტექნიკური შესაძლებლობები: ადამიანის უფლებათა ცენტრი არჩევნებზე მონიტორინგს ახორციელებს, როგორც წესი, მოკლევადიანი პროექტების მეშვეობით. მსგავს პროექტებში გამოყოფილი ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში ორგანიზაცია უზრუნველყოფს როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი დამკვირვებლებისათვის ტრენინგების ჩატარებას. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ცენტრი ყოველი არჩევნების წინ ატარებს ტრენინგებს, კანონმდებლობის და პრაქტიკის უახლესი ინფორმაციის გაცნობის და საარჩევნო პერიოდში მოსალოდნელი გამოწვევების თუ რისკების დაზღვევის მიზნით. ორგანიზაციას აქვს არჩევნებზე დაკვირვების მრავალწლიანი გამოცდილება. შესაბამისად, მოკლევადიან დამკვირვებლებს, როგორც წესი, არჩევს უკვე გამოცდილი მონიტორების გუნდიდან, წარსულში განვითარებული კარგი თანამშრომლობის საფუძველზე (დამკვირვებელთა ბაზიდან). გამონაკლისია გრძელვადიანი დამკვირვებლები, რომლებისთვისაც აცხადებს კონკურსს.

- **მისიის გამოწვევები (მეთოდოლოგია, სუსტი მხარეები, ადამიანური რესურსი, ცოდნა/გამოცდილება; მატერიალური და არამატერიალური რესურსი; სადამკვირვებლო მისიის ტექნიკური შესაძლებლობები)**

სუსტი მხარეები: არჩევნებზე დაკვირვების გრძელვადიანი მისია ადამიანის უფლებათა ცენტრმა ბოლო წლებში განავითარა. შესაბამისად, მეთოდოლოგიურად არსებითია მისი შემდგომ განვითარება და არსებულ გამოწვევებზე ადაპტირება.

გრძელვადიანი დამკვირვებლების კვალიფიკაცია - ორგანიზაცია ცდილობს გამოცდილი, კვალიფიციური კადრებით დააკომპლექტოს სადამკვირვებლო მისია, ასევე - ტრენინგით გაუღრმავოს მათ ცოდნა, მონიტორების შერჩევა მაინც არის ერთჯერადი ღონისძიება და თუნდაც ეს ერთდღიანი ტრენინგი არ არის საკმარისი იმ რისკის დასაზღვევად, რომ შემდეგ ტრენინგით მიღებული ცოდნა შესაბამისი სიზუსტით გამოიყენონ პრაქტიკაში და შეასრულონ ორგანიზაციის დავალება.

მოკლევადიანი დამკვირვებლების კვალიფიკაცია - მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების დღის მონიტორებს უტარდებათ კვალიფიციური ტრენინგი, არჩევნების მიმდინარეობისას მაინც არის შემთხვევები, რომ ისინი სწორად ვერ წერენ საჩივრებს საუბნო ან საოლქო კომისიაში, რაც შემდეგში იწვევს ამ საჩივრების დახარვეზებას.

მატერიალური და არამატერიალური რესურსი: მწირია ორგანიზაციის მატერიალური და არამატერიალური რესურსი. საარჩევნო პროექტებთან დაკავშირებით, კადრების გადინების პრობლემა ძირითადად ეხება მონიტორებს, რომლებიც მხოლოდ არჩევნების დღის დაკვირვების მიზნით ერთვებიან ერთჯერადად პროექტში. გრძელვადიანი დამკვირვებლებიც, ხშირ შემთხვევაში, არიან საარჩევნო დავებზე სპეციალიზებული მოწვეული იურისტები, რომლებიც პროექტების დასრულების შემდეგ ტოვებენ ორგანიზაციას.

ორგანიზაციის მიერ განხორციელებული მონიტორინგი, უმეტესწილად მცირე საგრანტო პროექტებით ხორციელდებოდა. პროექტების უმეტესობა მცირებიუჯეტიანი იყო და ითვალისწინებდა უშუალოდ არჩევნების დღის დაკვირვებას. გამონაკლისის სახით რამდენჯერმე (მათ შორის - 2020 და 2021 წლებში) განხორციელდა გრძელვადიანი დაკვირვების პროექტები, რომლებიც ითვალისწინებდა წინასაარჩევნო პროცესის დაკვირვებასაც და სამართლებრივ დახმარებას.

სადამკვირვებლო მისიის ტექნიკური შესაძლებლობები: ორგანიზაციის ტექნიკური შესაძლებლობები მწირია და საჭიროებს მხარდაჭერას.

- **საჭიროებები**
    1. **სადამკვირვებლო მეთოდოლოგიის შემუშავება გამოწვევების შესაბამისად** - ორგანიზაციის პროფილისა და საარჩევნო პროცესში

არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, სადამკვირვებლო მეთოდოლოგიის შემუშავება (მაგალითად, სამართლებრივი დახმარების, მათ შორის, სტრატეგიული სამართალწარმოების კომპონენტების გაძლიერება, სოციალური ქსელების მონიტორინგი);

2. **საარჩევნო გუნდის ცოდნის გაღრმავება და ტექნიკური აღჭურვის შემდგომ უნარ-ჩვევების შემუშავება** - საარჩევნო გუნდის და დამკვირვებლების თემატურ-შინაარსობრივი და ანალიტიკური გაძლიერება, დამკვირვებლების რეკრუტირება და მისიის ტექნიკური აღჭურვის შემდგომ ცოდნის გაღრმავება (ბაზისა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის ადაპტაცია პრაქტიკაში);
3. **მატერიალური და ტექნიკური მხარდაჭერა, ორგანიზაციის შესაძლებლობების განვითარების** ფინანსური მხარდაჭერა გრძელვადიანი და მოკლევადიანი მასშტაბული მისიების განხორციელებისათვის, ახალ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული ტექნიკური მხარდაჭერა (ბაზები, შესაბამისი პროგრამები კომუნიკაციისა და ინფორმაციის მიღება/დამუშავებისათვის). **ადამიანის უფლებათა ცენტრს აქვს მედიარესურსი - ინტერნეტგამოცემა HUMANRIGHTS.GE რომლის გაუმჯობესების და სადამკვირვებლო მისიებში გამოყენების საჭიროება დგას.**

მიგნებები და რეკომენდაციები - ინტერვენცია გაძლიერებისა და ინსტიტუციური მდგრადობის მისაღწევად

კვლევის პროცესში, დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე, მიგნებები რამდენიმე ჯგუფად შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

- **გამოწვევები, რომლებზეც უნდა გაიხსნას შიდა დისკურია (მაგალითად, ე.წ. „გონგოები“) და საარჩევნო რეფორმის ფარგლებში განსახილველი საკითხები;**
- **ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერების და არჩევნებზე დაკვირვების ხარისხის გაუმჯობესების საკითხები;**
- **დამატებითი საკითხები.**

განვიხილოთ ინდივიდუალურად:

- **გამოწვევები, რომლებზეც უნდა გაიხსნას შიდა დისკურია (მაგალითად, ე.წ. „გონგოები“) და საარჩევნო რეფორმის ფარგლებში განსახილველი საკითხები**

ფსევდო-დამოუკიდებელი სადამკვირვებლო ჯგუფების თაობაზე შიდა დისკუსიის გამართვა:

ბოლო პერიოდში შესამჩნევად გაიზარდა ე.წ. ფსევდო-დამოუკიდებელი სადამკვირებლო ჯგუფების რაოდენობა, მოქმედების არეალი და უშუალოდ საარჩევნო პროცესებში ჩართულობის ინტენსიურობა. ორგანიზაციების აზრით, ამ ჯგუფებს უკვე შესამჩნევად ნეგატიური და დესტრუქციული როლი შეაქვთ საარჩევნო პროცესის დროს, მათ შორის, საარჩევნო უბნებზე არჩევნების დღეს. მიუხედავად იმისა რომ ორგანიზაციები არ მიიჩნევენ, რომ ამ ეტაპზე საჭიროა ამ ჯგუფების რეგულირებისთვის მკაცრი სამართლებრივი ნორმების დაწესება, ისინი შესაძლებლად და საჭიროდაც კი მიიჩნევენ ამ საკითხის უფრო ყურადღებით შესწავლას და თვითონ მათი და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით გარკვეული დისკუსიის გახსნასაც.

ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობასა და პრაქტიკაში:

1. **დამკვირვებელთა რეგისტრაციის ვადის გახანგრძლივება და პირდაპირი საარჩევნო წესით არჩეული პოლიტიკური თანამდებობის პირების ბაზის წარმოება**

სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის არჩევნებამდე 1 კვირით ადრე იხურება ბაზა დამკვირვებელთა რეგისტრაციისათვის. აღნიშნული შეუძლებელს ხდის დამკვირვებლის ჩანაცვლებას კენჭისყრის დღის წინ. ეს კი ხელს უშლის მისიის სრულყოფილად ჩატარებას. აგრეთვე, ელექტრონული რეგისტრაციის მიუხედავად, **პარტიული ინტერესების გამტარი ორგანიზაციები ახერხებენ დამკვირვებლებად დაარეგისტრირონ ისეთი პირები, რომელთაც საარჩევნო კოდექსის მიხედვით აკრძალული აქვთ დამკვირვებლობის უფლება** (მაგალითად, საკრებულოს დეპუტატი, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი).

2. **დამკვირვებლის ფოტო-ვიდეო გადაღების უფლების დაზუსტება**

კვლევაში მონაწილე ორგანიზაციები აღნიშნავენ რომ კანონმდებლობის დონეზე **სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლების უფლებები ფართო და დაცულია. თუმცა, ხშირია მათი არასწორი განმარტება პრაქტიკაში. მაგალითად, ხშირია შემთხვევები, როდესაც დამკვირვებლებს უზღუდავენ ფოტო-ვიდეო გადაღების უფლებას, ხელმძღვანელობენ რა ცესკო-ს აქტით, რომელიც არეგულირებს ფოტო-ვიდეო გადაღების საკითხებს.**[11] აღნიშნულის გამო, დამკვირვებლებს უჭირთ მოიპოვონ მტკიცებულებები საარჩევნო პროცედურული დარღვევებისა და სავარაუდო დანაშაულის ნიშნების შემცველი ფაქტების თაობაზე. რიგ შემთხვევებში საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების ქმედებები გამოწვეულია დამკვირვებლების უფლებების შესახებ მათი ცოდნის დაბალი დონით.

რეკომენდაცია: ევროპის საბჭოს შეუძლია ამ საკითხის მოგვარებაში აქტიური როლის შესრულება საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის დამკვირვებლების უფლებების შესახებ ცნობიერების გაზრდის კამპანიის მხარდაჭერის გზით.

[11] დოკუმენტი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1748403?publication=0

3. საარჩევნო დავების წარმოება/განხილვა

საარჩევნო დავების წარმოების გამოცდილების მქონე ორგანიზაციების განმარტებით, 2021 წლის საარჩევნო რეფორმის ფარგლებში საარჩევნო დავების კუთხით განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, კანონმდებლობასა და პრაქტიკაში რჩება პრობლემები, რომლებიც უარყოფითად აისახება, როგორც **საარჩევნო დავების უფლების გამოყენების, ასევე უშუალოდ განხილვა/წარმოების კუთხით. კერძოდ,** ცვლილებების მიუხედავად, პრობლემად რჩება, როგორც **საარჩევნო დავების განხილვის (სრული წარმოება, გადათვლის პროცესში სრული საარჩევნო დოკუმენტაციის გადათვლა), ასევე გასაჩივრების ვადების (არასაკმარისი გასაჩივრების ვადები), აღსრულების და მიმდებარე ტერიტორიაზე ჩადენილი დარღვევების აღსრულების საკითხები** (მაგალითად, შსს-ს მიერ ეფექტიანი აღსრულებისა და მიმდებარე ტერიტორიაზე ჩადენილი დარღვევების ზუსტი აღრიცხვა).[12]

პრობლემას წარმოადგენს ასევე **განუხილველობის საფუძველი, როდესაც იმავე დარღვევაზე უკვე სხვა ორგანიზაციას აქვს საჩივარი/სარჩელი წარდგენილი**. ხშირია შემთხვევები, როცა არ ხდება საქმის გაერთიანება. რეალურად შესაძლებელია მოხდეს, ისე რომ პოლიტიკურად მოტივირებულმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ დაიწყოს დავა და „არ ჰქონდეს სათანადო მტკიცებულებები“ ან საჩივარი არასათანადოდ იყოს წარდგენილი, რაც რა თქმა უნდა სარჩელის/საჩივრის არ დაკმაყოფილებას ან განუხილველად დატოვებას იწვევს, ხოლო სანდო სადამკვირვებლო ორგანიზაციას უკარგავს უფლებას იმავე დარღვევაზე გამოიყენოს გასაჩივრების უფლება.

4. ადმინისტრაციული რესურსის მარეგულირებელი ნორმების გადახედვა და პირთა წრის დავიწროვება

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შეზღუდვის მიზნით კიდევ უფრო დაკონკრეტდეს შესაბამისი სამართლებრივი ნორმები. პრაქტიკამ აჩვენა, რომ კამპანიის პროცესში პრობლემას წარმოადგენს პოლიტიკური თანამდებობის პირთა მონაწილეობა არჩევნებში.[13] ხშირ შემთხვევაში ირღვევა ზღვარი პოლიტიკურ პარტიებსა და სახელმიწოფს შორის, რაც ეწინააღმდეგება ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტით დადგენილ

---

[12] საიას საარჩევნო დავების განხილვის ძირითადი ტენდენციები, ანგარიში ხელმისაწვოდმია შემდგებ ბმულზე:
https://www.gyla.ge/files/2020/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%9D%20%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%20%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf

[13] საარჩევნო კოდექსის მიხედვით, პოლიტიკური თანამდებობის პირია – საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრები და მათი მოადგილეები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრი და აღმასრულებელი ორგანო – მერი, სახელმწიფო რწმუნებული;

პრინციპებს, რომლის თანახმადაც „აუცილებელია სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიის მკაფიო გამიჯვნა, პარტია არ უნდა იყოს აღრეული სახელმწიფოსთან.“[14]

რეკომენდაცია: საარჩევნო რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვანია გადაიხედოს როგორც საარჩევნო კოდექსი (დამკვირვებელთა ჩანაცვლების/რეგისტრაციის გახანგრძლივების, ფოტო-ვიდეო გადაღების, საარჩევნო დავების, ადმინისტრაციული რესურსის ნაწილში), ასევე ელექტრონული რეგისტრაციის პროცესის მარეგულირებელი აქტები (საკრებულოს დებუტატების და სხვა პირდაპირი წესით არჩეული პოლიტიკური თანამდებობის პირთა რეესტრის/ბაზების წარმოების მიზნით).

ევროპის საბჭოს შეუძლია ამ პროცესში აქტიური როლი შეასრულოს, ერთი მხრივ, დისკუსიის ორგანიზების მხარდაჭერის გზით და მეორე მხრივ საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობის უზრუნველყოფით.

- **ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერების და დაკვირვების ხარისხის გაუმჯობესების საკითხები[15]**

კვლევაში გამოიკვეთა, რომ ორივე ჯგუფის ორგანიზაციებისთვის არსებით საჭიროებას წარმოადგენს ინსტიტუციური გაძლიერება, დაკვირვების ხარისხის გაუმჯობესება და მეთოდოლოგიის დაგეგმვა საარჩევნო პროცესში გამოკვეთილი გამოწვევების საპასუხოდ. მართალია ყველა ორგანიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან[16] შესაბამისობაში გეგმავს სადამკვირვებლო საქმიანობას და მონიტორინგის მეთოდოლოგიას (მაგალითად, საია და ისფედი დეკლარაციასა და ქცევის კოდექსზე ხელმომწერი ორგანიზაციებია 2010 წლიდან[17]), თუმცა მნიშვნელოვანია რომ კიდევ ერთხელ მოხდეს საერთაშორისო სტანდატების გადააზრება და სადამკვირვებლო მეთოდოლოგის განახლება (ეუთოს მეთოდოლოგიით[18] - ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით), რაც დადებითად აისახება დაკვირვების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

---

[14] დოკუმენტი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://www.osce.org/files/f/documents/9/c/14304.pdf

[15] საჭიროებების კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებულ საკითხებზე/თემებზე მუშაობა შესაძლებელია სამ წლიანი პერსპექტივით გადანაწილდეს: პირველი წელი - კვლევაში მონაწილე ორგანიზაციებთან ერთად დაგეგმვა/დამუშავება; მეორე წელი - დანერგვა და ორგანიზაციების capacity building-ი და მესამე წელი - 2024 წლის არჩევნებზე დანერგილი სიახლეების პერფორმანსი.

[16] არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის შემუშავებული სადამკვირვებლო მონიტორინგის გლობალური პრინციპების დეკლარაცია.სტრაბურგი, 2012 წელი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2012)018-e

[17] საიას 2016 წლის არჩევნების მონიტორინგის ანგარიში, გვ.4. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://www.gyla.ge/files/news/2008/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-2016-GEO.pdf

[18] არჩევნებზე გრძელვადიანი დამკვირვებლების სახელმძღვანელო, დაკვირვება არჩევნებამდე, არჩევნების დღეზე და მის შემდეგ. ეუთო. ქართული თარგმანი 2008 წ. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.osce.org/files/f/documents/9/2/24680.pdf

ორგანიზაციებს, ინსტიტუციური მდგრადობისა და არჩევნების სრული პროცესის ხარისხიანი/შეუფერხებელი დაკვირვებისთვის, სჭირდებათ უფრო მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება.

რეკომენდაცია: შესაძლებელია ევროპის საბჭომ დაგეგმოს აქტივობები (ტრენინგი, კვლევა, მეთოდოლოგიის პროგრამების/ბაზების დახვეწაში მხარდაჭერა) კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების ინსტიტუციური და სადამკვირვებლო მეთოდოლოგიის დახვეწა/გაუმჯობესების კუთხით. საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების და წამყვანი უცხოელი ექსპერტების ჩართულობის გზით შესაძლებელია ორგანიზაციებს დაეხმაროს მათი წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგის მეთოდოლოგიის დახვეწის კუთხით.

ასევე, შესაძლბელია, რომ ევროპის საბჭოს ექსპერტებმა წარმატებული ფანდრეიზინგის შესახებ გარკვეული სახის ტრენინგები ჩაუტარონ სადამკვირებლო ორგანიზაციებს, რაც მათ დაკვირვების წარმოებისთვის საჭირო თანხების მოძიებაში დაეხმარებათ.

- დამატებითი საკითხი:

კვლევის განხორციელების პროცესში, გამოიკვეთა, რომ საქართველოში ძალიან ბევრი საკვლევი თემა არის არჩევნებთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, აკადემიურ სფეროში ამ მხრივ აქტიურობა არ შეიმჩნევა. სანდო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს (ე.წ. watchdog-ებს) კი ინტენსიური კვლევის განხორციელებისთვის არ აქვთ სათანადო დრო და რესურსი (მათი ყურადღება ძირითადად ორიენტირებულია სადამკვირვებლო საქმიანობაზე). აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესო კოლაბორაცია იქნება უნივერსიტეტებს, სადამკვირებლო ორგანიზაციებს და ანალიტიკურ ცენტრებს შორის გარკვეული თანამშრომლობის ჩამოყალიბება და ერთობლივი კვლევითი პროდუქტების შექმნა. შესაძლოა, საინტერესო იყოს ასევე უნივერსიტეტებთან ერთად ე.წ. საარჩევნო თემატიკასთან დაკავშირებით ე.წ. Knowledge depository-ის შექმნა, და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსში არჩევნებთან დაკავშირებული თემატიკის უფრო დიდი რაოდენობით შეტანა.

რეკომენდაცია: ევროპის საბჭოს შეუძლია ხელი შეუწყოს, ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად ეფექტიანი მოდელის შემუშავებასა და დანერგვას.